სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 24 ივნისი 2005 №141 (2464) ფასი 50 თეთრი

გარიგება

მერაბ ჟორდანიას ბიუჯეტს შეახსენებენ

2

12, 14 თუ 16?

...-გუნდიანი ჩემპიონატი 22 ივლისს იწყება

3



ყველაზე სპორტული კაცი

ჟურნალისტებმა თქვეს, მარკოზაი

13

ბურთულების დღე

დინამო, ლოკომოტივი და ტორპედო ევროპიდან წილს ელიან

დღეს თბილისის „დინამო“, „ლოკომოტივი“ და ქუთაისის „ტორპედო“ საევროტურნირო მეტოქეების ვინაობას შეიტყობენ. 14 საათზე შვეიცარიულ ნიონში ბურთულები ჩაიყრება და ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპების კენჭისყრა გაიმართება. თუმცა, რატომ მხოლოდ პირველი — დინამოელები დღესვე სამეორეეტაპო შემხვედრსაც გაიცნობენ. ერთი კი ნაღდია, უეფამ ისევ გადაიფიქრა და ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი „ლივერპული“ პირველ ეტაპზე განთესილთა შორის მოახვედრა, რაც იმას ნიშნავს, რომ რაფა ბენიტესის მძლეთამძლე გუნდი დინამოელებს ასცდებათ. პირველ ეტაპზე ორი-სამი გუნდი თუა ისეთი, კახა ცხადაძის ბიჭებს მათი ძლევა რომ გაუჭირდებათ, მეორე რაუნდი კი შედარებით მძიმე იქნება...

ჩემპიონთა ლიგის წილისყრის მერე, 16 საათზე „ლოკომოტივსა“ და „ტორპედოს“ გაურკვევენ მეტოქეებს — აქაც ოდნავი შნოსა და მარიფათის საქმეა პირველი ეტაპის გადალალხვა, თუმცა ეს „ოდნავი“ ქართველებისთვის „ურთულესად“ იქცევა ხოლმე...

მოსალოდნელი მოულოდნელობა: ნადალი გავარდა

უიმბლდონის ტურნირს ბელგიელი ჟუსტინ ენენ-არდენის მერე გუშინ კიდევ ერთი ბობოლა, რაფაელ ნადალი გამოაკლდა — ნადალი, რომელმაც წლეულს ზედიზედ ექვსი ტიტული მოიპოვა, 22 წლის უსახელო ლუქსემბურგელ ჟილ მიულერთან დამარცხდა. მართალია, ნადალმა წლეულს მეთიხნარეს სახელი დაიგდო და თავად უიმბლდონურ ბალახს, ცოტა არ იყოს, უფრთხოდა, მაგრამ ვილაც მიულერთან მისი მარცხი მაინც დიდი მოულოდნელობა იყო.



გაფრინე კალოლაძის ფოტო

ბარიგება

მერაბ ჭორდანიას ბიუჯეტს შეახსენებენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ მერაბ ჭორდანიას, რომელიც სამთვიან წინასწარ პატიმრობაშია, საქმეში ჩახედული ხალხის თქმით, მალე გაათავისუფლებენ. ეს „მალე" კი ალბათ, ამ თვის ბოლო იქნება, თუ არაადა, ივლისის პირველი დეკადა.

კულუარებში იმასაც ამბობენ, მერაბ ჭორდანიასთან ერთად გაათავისუფლებენ ეროვნული სტადიონის ყოფილ დირექტორ ნუკრი კაკილაშვილსაც.

ამჟამად გამოძიებასა და მერაბ ჭორდანიას შორის საპროცესო გარიგება მიმდინარეობს. ვარაუდობენ, რომ გამოძიება დაკავებულს იმ ბრალდებებს მოუხსნის, რომელთა საფუძველზეც ჭორდანია უკვე თვენახევარია, წინასწარ პატიმრობაშია. ბრალდების მოხსნის სანაცვლოდ ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ გარკვეული თანხის გადახდას მოსთხოვენ, ითქვა, დაახლოებით ასი ათასისო.

შეგახსენებთ, რომ მერაბ ჭორდანიას რამდენიმე თვის წინ ბიუჯეტში 750 ათასი დოლარი გადაახდევინეს და ერთ თვის შემდეგ გაათავისუფლეს.

კოგა ინასარიძე

ნალდი ბორჯომი ჯერ რა დროსია



ზურაბ მამალაძე

უმაღლეს ლიგაში ფეხგადადგმულმა „ბორჯომმა" გუშინ თბილისში შეკრება დაიწყო. მწვრთნელი სოსო ფრუიძე დილით იპოდრომზე, საღამოს კი ტექნიკური უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიან მინდორზე ავარჯიშებს გუნდს. გუშინაც ვწერდით, „ბორჯომი" თითქმის მთლიანად გადახალისდებაო და ახალწვეულებიც უკვე გამოჩნდნენ.

ფრუიძის ხელქვეით ვარჯიშობენ თბილისის „დინამოდან" წასული მეკარე ზურაბ მამალაძე, რომელსაც ზვიად სტურუას გადინამოელების შემდეგ ძირითადში ადგილის მოპოვების შანსი აღარ დარჩა. „ბორჯომში" არიან ექსტორპედოელი მცველებიც — თემურ რაქვიაშვილი და დავით ბაქრაძე, თუმცა ამათ გარდა კიდევ ბევრი ფეხბურთელის მისვლას ელიან.

ილია ნანობაჯვილი

იტალია

სერია B. პლეი ოფი
ფინალი. პირველი მატჩი

პერუჯა 1:2 ტორინო

ნორვეგია

I დივიზიონი. XII ტური

სტაბეკი 2:1 მანდალი

ფინეთი

თასის პირველი ეტაპი

კაპა 0:3 ჰონკა
ატლანტისი 2:6 ჰაკა
გნისტანი 2:0 ჰაამეენლინა

ისლანდია

პრემიერლიგიზიონი. VII ტური

ფრამი 0:1 გრინდავიკი
კეფლავიკი 2:2 ფილკირი
რეიკიავიკი 3:2 თროტური
ჰაფნარფიორდური 2:0 აკრანესი
ვესტმანაეიარი — ვალიური
გვიან გაიმართა

შვედეთი

სუპერლიგა. XII ტური

გაის 2:0 დეგერფორსი

აუცილებელი 5:1

ეს ხომ შარშანდელი იყო

წინა სეზონისთვის მზადება თბილისის „დინამომ" გერმანულ რუიტში დაიწყო და იქაური ობერლიგის „ფორტცაინს" 5:1 მოუგო.

„დინამო" ახლაც რუიტშია და გუშინ ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი პირველი მატჩი გამართა: მეტოქე ისევ „ფორტცაინი", ანგარიში იგივე — 5:1.

თბილისელებმა გუშინ ორი შემადგენლობით ითამაშეს, თუმც საქმე პირველსავე ტაიმში მოითავეს. მე-8 წუთზე დვალიშვილმა გაიტანა, მერე ორბელაძემ, ალადაშვილმა და ბაბუნაშვილმა. გერმანელთაგან მეორე ტაიმის დასაწყისშივე ერთი სასუხო კეკერმა გაიტანა. თუმც მატჩის ბოლოსკენ ბობოხიძემაც იყოჩალა.

I ტაიმი: ზოიძე, ალადაშვილი, გიგაური, ორბელაძე, კანდელაკი, ოდიკაძე, ლ. ნოზაძე, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, მელქაძე, დვალიშვილი.

II ტაიმი: სტურუა, ალადაშვილი (ფირცხალავა 78), გიგაური (თომაშვილი 70), ორბელაძე, აკობია, გ. ჭელიძე, მახარაძე, გრიგალაშვილი, ნავალოვსკი, ბობოხიძე, მეგრელაძე.

მატჩის შემდეგ „დინამოს" მწვრთნელმა კახა ცხადაძემ თქვა: „მოსამზადებელი ეტაპის დატვირთვების ფონზე ასეთი მატჩები აუცილებელია. კმაყოფილი ვარ, კარგია, რომ გოლები კომბინაციური თამაშის შედეგად გავიტანეთ".

„დინამოს" პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, მეკარე თოთლაძეს გუშინ წელის ტკივილის გამო არ უთამაშია. მცველ კაშიას კი მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა და საბოლოო დიაგნოზისთვის „შტუტგარტის" ექიმებს მიაშურა.

ჩვენები შემდეგ მატჩს 26 ივნისს ასევე ობერლიგის „ჰალბრონთან" გამართავენ.

კოგა ინასარიძე

საპრეზიდენტო მოსმენა

ბათუმი ფედერაციაში დაიბარეს

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი დღეს „ბათუმის" პრეზიდენტ როინ ნაკაშიძეს შეხვდება. სალაპარაკო, იცოცხლეთ, ორ პრეზიდენტს საკმაო ექნებათ, მთავარი კი „ბათუმის" მომავალია.

მოგეხსენებათ, ის კლუბი, რომლის პრეზიდენტიც როინ ნაკაშიძეა, გაკოტრების პირასაა, ვალებშია ჩაფლული და შესაძლოა თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს. ახალკაცი კი სტუმრისგან კონკრეტული პასუხის მოლოდინშია — შეძლებს „ბათუმი" უმაღლეს ლიგაში სამონაწილეო პირობების დაკმაყოფილებას, თუ ამ კლუბის ნაცვლად აჭარის რეგიონს იურიდიულად ახალი კლუბი ეყოლება?

მოკლედ, „ბათუმის" ამბავი დღეს დაზუსტდება. იქამდე კი ამირან გოგიტიძემ ძველ-ახალ შეგირდებს სეზონისთვის მზადება უკვე დააწყებინა. დღესდღეობით გუნდში 17-19 წლის ბათუმელი ბიჭები ჭარბობენ, თუმც „ბათუმი" ბევრსაც არ დაუტოვებია. ჯერჯერობით მხოლოდ ვიტალი დარჩიძე და ბეგლარ თედორაძე აიბარგნენ. ისინი აზერბაიჯანულ „ბაკის" ავსტრიულ შეკრებაზე მიჰყვებიან და ალბათ, ამ გუნდშივე დარჩებიან.

კოგა ინასარიძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე



ფათიჰ თერიმი ერსუნ იანალის ყველაზე რეალური შემცვლელია

თურქეთი თავს ეძებს

იმპერატორს სკამი გაუმზადეს

თურქეთის ნაკრების მწვრთნელი ერსუნ იანალი, რომელმაც თბილისში საქართველოს კარში გატანილი ხუთიანი გოლი ტაშ-ფანდურით აღნიშნა, მოხსნეს.

იანალმა „ვარსკვლავ-მთვარიანი" გუნდი შარშანდელ აპრილში შენოლ გიუნეშისგან ჩაიბარა და ფედერაციასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამის შემდეგ დაიწყო მისი ტანჯვა-წამება. თურქეთმა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველივე შესარჩევ მატჩში ტრაპიზონში საქართველოს ვერ მოუგო, რის გამოც 70 მილიონიანი ქვეყანა აუმხედრდა. ოსმალთა ხოჯამ თამაშის მერე მისი გამლანძღველი ჰაქან შუქური ნაკრებიდან მიაბრძანა და ამით მსოფლიოს ბრინჯაოსანთა ქომაგები კიდევ უფრო გაანაწყენა.

ათენში ნათამაშები უგოლო ფრის შემდეგ თურქეთი ცოტა მოლბა, თუმც შინ უკრაინასთან 0:3 წაგებას ახალი ცეცხლი მოჰყვა. მიუხედავად ამისა, გაზაფხულზე იანალის გუნდმა ოთხ მატჩში ათი ქულა აიღო. სტამბოლში ბერძნებთან კვლავ უგოლო ფრეს დასჯერდა, რასაც ყაზახეთის სტუმრად დარბევა (6:0) მოჰყვა. თურქები ჯგუფში მეორე ადგილზე არიან და პლეი ოფში თამაშის კარგი შანსი აქვთ, მაგრამ ერსუნ იანალმა ამით თვისტომთა გული მაინც ვერ მოიგო.

ამ კვირაში ესპანეთში ხმელთაშუა ზღვის თამაშები იწყება, სადაც თურქეთის ოლიმპიური ნაკრებიც გამოდის. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელს სთხოვა, გუნდს ესპანეთში გაჰყოლოდა, რაზეც ერსუნ ხოჯამ უარი განაცხადა და ფედერაციის პრეზიდენტ ლევენტ ბიჩაჭჩისაც მეტი მიზეზის ძებნა აღარ დასჭირვებია მის გასათავისუფლებლად.

ერსუნ იანალის მოხსნას აქამდეც ვარაუდობდნენ და ეს მხოლოდ დროის ამბავი იყო. ლევენტ ბიჩაჭჩი მწვრთნელს შეხვდა, ორი საათი ესაუბრა და ყველაფერი კონტრაქტის გაწყვეტით დასრულდა. ცხადია, ერსუნ იანალი საკომპენსაციო თანხას მიიღებს.

ლევენტ ბიჩაჭჩის ფავორიტია „იმპერატორი" ფათიჰ თერიმი, ფედერაციის ზოგიერთი წევრი კი მირჩა ლუჩესკუს ვარიანტს ემხრობა. რუმინელმა წელიწადში 3 მილიონ 500 ათასი დოლარი მოითხოვა, ფედერაციაში კი განაცხადეს, ახალ მწვრთნელს 2 მილიონ 700 ათას დოლარზე მეტს ვერ მივართმევთო. გაზეთ „საბაჰის" ვარაუდით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ოსმალთა ახალი ფაშა ფათიჰ თერიმი გახდება და მისი თანაშემწეებიც კი დაასახელეს — აიქუთ ქოჯამანი და მეჰმეთ ოზდილექი.

თურქეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის მომდევნო მატჩს უკრაინასთან სტუმრად 7 სექტემბერს გამართავს. ლევენტ ბიჩაჭჩის აზრით, ახალი მწვრთნელით თურქები უკრაინელთა დამარცხებასაც შეძლებენ და შინ დანიასაც მოუგებენ.

რომან თურძია

ლევან მელიქია, ნოდარ ახალკაცი, კოტე ღლონტი და კობა ჟორჟიკაშვილი

ახალი სიო ქართულ ფეხბურთში
მას თურმე ჭაბუკებიც გრძნობენ

გუშინ აგრარული უნივერსიტეტის გვერდით გაშენებულ საქართველოს ნაკრების ბაზაზე პრესკონფერენცია გაიმართა — ჟურნალისტების წინაშე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი, მისი თანაშემწე ლევან მელიქია და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი კოტე ღლონტი წარდგნენ. შეხვედრის მიზეზი იტალიაში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში საქართველოს 18-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრების მონაწილეობა გახლდათ.

პრესკონფერენცია ახალკაცის შესავალი სიტყვით დაიწყო...

— საქართველოს 19 და 17-წლამდელთა ნაკრებები წლეულს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ითამაშებენ და ეს გუნდები 1987 და 1989 წლებში დაბადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტება. გადავწყვიტეთ, რომ 1988 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ბაზაზე შექმნილი ნაკრები იტალიაში გაგვეშვა. ამ ტურნირში 1989 წელს დაბადებულები თამაშობენ და ასეთ გუნდებს უფლება აქვთ, რამდენიმე 1988 წელს დაბადებული ფეხბურთელიც აიყვანონ, მაგრამ ჩვენ თხოვნით მივმართეთ ტურნირის ორგანიზატორებს და ნებართვაც ავიღეთ მათგან.

— 18-წლამდელთა ნაკრები ფედერაციის ბაზაზე ემზადება, სადაც მინდორი ისეთია, რომ...

— აქური მინდორი მართლაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და თბილისის „დინამოს" მივმართეთ თხოვნით, რათა 18-წლამდელთა ნაკრებს ამ კლუბის ბაზაზე ევარჯიშა. მათგან დადებითი პასუხი მივიღეთ, რისთვისაც მადლობას ვუხდით. სხვა მხრივ, ფედერაციის ბაზაზე ყველაფერი ნორმალურადაა. გუნდს ეროვნული ნაკრების ავტობუსი ემსახურება, რაც ძალიან სასიამოვნოა ფეხბურთელებისთვის. აი, ამ სკამზე კახა კალაძე ზის — თურმე ასეთი ლაპარაკიც ყოფილა ფეხბურთელებში.

კოტე ღლონტი: ეს ოლიმპიური ტურნირი მერვედ ტარდება, ხოლო საქართველო მასში მეშვიდედ მიიღებს მონაწილეობას. ეს ფესტივალი დიდი ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი ეტაპია. ამ ტურნირზე საქართველოს 31 მედალი მოუგია — 9-9 ოქრო-ვერცხლი და 13 ბრინჯაო.

— რომელ ქალაქში გაიმართება ეს ოლიმპიური ფესტივალი?

— ლინიანოში, რომელიც 80-85 კილომეტრითაა დაშორებული ვენეციას. ეს ზღვისპირა ქალაქია და ოლიმპიური სოფელი ტყეშია გაშენებული. მოკლედ, ხელმძღვანელები ყურადღებით უნდა ვიყოთ ბავშვების მიმართ.

კობა ჟორჟიკაშვილი: ასაკობრივ ნაკრებებში ადრეც მიმუშავია, 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს ვწვრთნიდი და ასეთი პირობები, ახლა რომ გვაქვს, არასდროს ყოფილა — ქართულ ფეხბურთში მთავარი პრობლემა საქმისადმი დამოკიდებულებაა. ამ გუნდის ფეხბურთელები ახლახან ეროვნულ მუზეუმში გვყავდა, რათა კარგად გააცნობიერონ, თუ რა ერის, რა კულტურის წარმომადგენლები არიან. მოკლედ, ფეხბურთელები უკვე გრძნობენ ახალ სიოს ქართულ ფეხბურთში.

ნოდარ ახალკაცი: მადლობს ვუხდით იმ კლუბებს, რომლებმაც ფეხბურთელები გამოუშვეს 18-წლამდელთა ნაკრებში. გუნდი ახლა ფორსირებულად ემზადება იმისთვის, რომ ტურნირს ფიზიკურად კარგად მომზადებული შეხვდეს — თვენახევრის სამუშაო ორ კვირაში უნდა შევასრულოთ. ასე გადაწყვიტა ჩვენმა სამწვრთნელო შტაბმა, რომელსაც ფედერაციის ტექნიკური დირექტორი გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობს.

— საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები ერთ სისტემაში არიან მოქცეულნი? თუ ასეა, ვინ ხელმძღვანელობს ამ სისტემას?

— ასაკობრივი ნაკრებები ერთიან სისტემაში უნდა იყვნენ და ამის ხელმძღვანელობა ფედერაციის ტექნიკურ დირექტორსაც ევალება. ეროვნული ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი მეტოქეთა თამაშებზე მხოლოდ გაიოზ დარსაძეს უშვებდა...

— ადრე იყო იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს ოლიმპიური ანუ 21-წლამდელთა ნაკრების ერთ შეკრებას საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი დააფინანსებდა...

კოტე ღლონტი: ასეთი შეთანხმება მართლაც გვქონდა ფეხბურთის ფედერაციის წინა ხელმძღვანელობასთან და მომავალშიც მაქსიმალურად მივაქცევთ ყურადღებას ოლიმპიურ ნაკრებს.

ნოდარ ახალკაცი: საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილს ამასწინანდელ რიგგარეშე სესიაზე ვესაუბრე ოლიმპიურ სახეობათა პრიორიტეტულ სიაში ფეხბურთის შეყვანაზე და ამ საუბრის შემდეგ დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ასე მოხდება.

— ამ ტურნირზე რომელიმე ქართველი მსაჯი თუ მიდის?

— კი, ლაშა სილაგავა.

— ეროვნულ ჩემპიონატზეც ვთქვათ — რამდენგუნდიანი იქნება 2005-06 წლების უმაღლესი ლიგა?

— აქტიურად ვმუშაობთ, რათა უმაღლესი ლიგა 16 გუნდამდე გავზარდოთ, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ უმაღლესი ლიგის ყველა გუნდი მინიმალურ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს. თუმც ისიცაა, რომ „კახეთს" და თბილისის „დინამოს" ერთი და იგივეს ვერ მოვთხოვთ. თუ ყველაფერი იდეალურად წარიმართა, უმაღლესი ლიგიდან „დილა" და „კოლხეთი" არ გავარდებიან, მათ დაემატებათ პირველი ლიგის ოთხი საუკეთესო გუნდი სპორტული პრინციპით და პატრიოტული პრინციპით სოხუმის „დინამო" და „ცხინვალი". მაგრამ ჩვენ ყველაფერისთვის მზად ვარო. უკვე შემუშავებული გვაქვს 12, 14 და 16-გუნდიანი უმაღლესი ლიგის კალენდრები. ჩემპიონატი სავარაუდოდ 22 ივლისს დაიწყება მიუხედავად იმისა, თუ რამდენი გუნდი იქნება უმაღლეს ლიგაში. მანამდე კი ყოველდღე ვხვდები კლუბების წარმომადგენლებს.

...ამ „ტრამონდის" ბურთს რომ უყურებთ, ასეთი 3 000 ცალი შეუძენია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და მათი სარფიანად გაყიდვა სურდა. ეს ფიფას მიერ ლიცენზირებული ბურთია და მისი მინიმალური ფასი 70 ლარია. უმაღლესი ლიგის თითოეულ გუნდს დავურიგებთ 20-20 ბურთს, თანაც დღგსაც ფედერაცია გადაიხდის. გვსურს, რომ ქვედა ლიგისა და ბავშვთა გუნდებიც მოვამარაგოთ ამ ბურთებით. სხვათა შორის, „ტრამონდი" დაინტერესებულია, რომ ექსკლუზიური კონტრაქტი გააფორმოს ჩვენთან.

— ფეხბურთის ფედერაცია ახალი კადრებით როდის დაკომპლექტდება?

— თქვენ ალბათ ყველაზე უფრო ახალი გენერალური მდივნის ვინაობა გაინტერესებთ. ვალერი ჩოლარიას 1 ივლისს უმთავრდება კონტრაქტი და მისი მემკვიდრის ვინაობასაც იმ დროისთვის შეიტყობთ.

დავით თავართქილაძე

ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილე საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრები

მეკარეები: რევაზ თევდორაძე (თბილისი 3), ლუკა დაუთაშვილი (ოლიმპიკი);

მცველები: გიორგი ხუმარაშვილი (თბილისი), გულვერდი თომაშვილი (დინამო 2), გიორგი ხიდეშელი (ოლიმპი), ზურაბ გვაძაბია (ამერი), ირაკლი შარანგია (თბილისი), გიორგი ელბაქიძე (ამერი);

ნახევარმცველები: ალექსი ბენაშვილი (თბილისი), მურთაზ დაუშვილი (დინამო), ნუკრი გოგოხია (ოლიმპი), მირზა ბეჟალავა (ამერი), გიორგი ნიკოლაიშვილი (ამერი), ირაკლი ძარია (კოლხეთი, ფოთი);

თავდამსხმელები: დავით ჯანელიძე (თბილისი), ლადო ლაფერაშვილი (ნიურნბერგი, გერმანია), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი).

თამაშების განრიგი

04.07.2005	შვეიცარია — ლატვია
05.07.2005	საქართველო — პირველ მატჩში წაგებული გუნდი
06.07.2005	საქართველო — პირველ მატჩში მოგებული გუნდი
07.07.2005	დასვენების დღე
08.07.2005	ფინალური მატჩები

რეგიონალიგა

აბა, მეოთხეც შევავსოთ

რეგიონალიგის სამივე ზონაში გამარჯვებულებმა — თბილისის „ამერი 2"-მა, ახალციხის „შესხეთმა" და სენაკის „სენაკურმა" პირველი ლიგის საგზური ავტომატურად მოიპოვეს. გასარკვევი მეოთხე „ბედნიერის" ვინაობადა დარჩა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დებულებით, სამივე ზონის მეორეადგილოსნები ერთიმანეთში ერთ წრედ ითამაშებენ და გამარჯვებული პირველ ლიგაში გადავა.

პლეი ოფის პირველი შეხვედრა უკვე გაიმართა — „გაგრამ" სრულმრად 6:0 გაანადგურა წალკის „ორიალეთი". 25 ივნისს ტყიბულის „მეშახტე" უმასპინძლებს წალკელებს, 29-ში კი ალბათ გადამწყვეტი მატჩი იქნება: „გაგრა" — „მეშახტე".

მოკლედ, მეოთხე პირველლიგელის ვინაობა 29 ივნისს გაირკვევა

ლუკა თალაკვაძე

აღმოსავლეთი ზონა

ამერი 2	30	26	2	2	91:21	80
გაგრა	30	25	3	2	71:14	78
სიონი 2	30	19	2	9	63:43	59
თბილისი 3	30	17	4	9	58:28	55
სოხუმი	30	16	3	11	67:46	51
ნ. დინამოელი	30	15	5	10	48:45	50
სპარტა	30	14	5	11	42:41	47
ცხუმი	30	11	8	11	29:33	41
იმედი 95	30	11	5	14	42:53	38
რუსთავი 2	30	10	5	15	36.53	35
ნ. დინამოელი 2	30	8	6	16	51:63	30
ალგეთი	30	6	9	15	31.53	27
ერთობა	30	7	5	18	37 74	26
ჯახეთი 2	30	7	5	18	41:67	25
სკ თბილისი	30	7	2	21	54.75	23
დერუჯი	30	5	3	22	29 77	18

ცენტრალური ზონა

მესხეთი	28	23	4	1	74:14	73
თრიალეთი	28	21	1	6	64.32	64
ლიახვი	28	17	5	6	66.32	56
ზოოვეტი	28	16	5	7	49:28	53
სამგორი	28	15	6	7	54:33	51
ჭაბუკიანი	28	14	3	11	45:36	45
დილა 2	28	13	3	12	57.42	42
თორი 2	28	13	2	13	37:45	41
სპარტაკი 2	28	11	3	14	36.51	36
ჰრემა	28	11	0	17	42:49	33
მეშაქრე	28	9	6	13	46:40	33
ჩიხურა 2	28	9	2	17	39:53	29
დინამო-ბენდილა	28	8	2	18	33:82	26
ბერი	28	4	5	19	25:51	17
მარნეული	28	0	0	28	5:112	0

მარნეული, ჰრემა და ბერი ჩემპიონატს გამოეთიშნენ

დასავლეთი ზონა

სენაური	32	26	1	5	64:19	79
მეშახტე	32	24	5	3	78.26	77
სამტრედია	32	16	12	4	52:23	60
ხობი	32	16	6	10	55:33	54
იმერეთი	32	15	7	10	50:27	52
სულორი	32	15	4	13	53.42	49
სქური	32	14	6	12	58:42	48
ჯოლხეთი 2	32	14	6	12	51:69	48
ზესტაფონი 2	32	13	6	13	55:38	45
სამგურალი	32	12	4	16	33:53	40
შუქურა	32	11	7	14	31:39	40
მერცხალი	32	11	6	15	43:46	39
დინამო (ქუთ.)	32	11	5	16	35:47	38
სალხინო	32	9	7	11	41:59	34
ბათუმი 2	32	9	4	19	28.57	31
სამეგრელო	32	4	2	26	22:89	14
ლუკა	32	3	2	27	30:95	11

სამგურალი, ბათუმი 2, ლუკა და სამეგრელო ჩემპიონატს გამოეთიშნენ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲓᲘ-ᲤᲝᲭᲘ

ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ	ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲒ	ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲒ	ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	ნერგაძე (ტორპედო), მეგრელაძე (ტორპედო), სტურუა (ლოკომოტივი), ბობოხიძე (ლოკომოტივი), თოთლაძე (ბათუმი), *აკობია (კოლხეთი), ქემოკლიძე (თბილისი)*	კ. შალამბერიძე (ტორპედო), კაკალაძე (ტორპედო), ლ. ჭელიძე (ტორპედო), ქუცურუა (სიონი), დვალი (სიონი), მარკოზაშვილი (სიონი), კვიტაიშვილი (კახეთი), შეყრილაძე (ლოკომოტივი), ჯამარაული (ანართოსისი, კვიპროსი), მამალაძე (ბორჯომი), კუნეგატო (?, ბრაზილია), რომერო (?, ბრაზილია), სილაგაძე (?), ჭიჭვეიშვილი (?)	
ტორპედო ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ	კ. შალამბერიძე (დინამო), ლ. ჭელიძე (დინამო), კაკალაძე (დინამო), *ძოძუაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი)*	ნერგაძე (დინამო), მეგრელაძე (დინამო), კოშკაძე (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ბორჯომი), ბაქრაძე (ბორჯომი), *მერლანი (?), ბოლქვაძე (?), მემარნიშვილი (?), სოსელია (?)*	
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ		გრიშიკაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე (?), *იაშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), მიქიაშვილი (?), გეწაძე (?), მესხი (?)*	
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	შეყრილაძე (დინამო), საჯაია (უგუნდო) *გიზო შენგელია (კოლხეთი)*	ბობოხიძე (დინამო), სტურუა (დინამო), მანჩხავა (კაუნასი, ლიტვა), მახვილაძე (ზესტაფონი), გ. ონიანი (?, რუსეთი), მძინარიშვილი (კახეთი)	
ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ	კოშკაძე (ტორპედო), მახვილაძე (ლოკომოტივი), *გ. ფოფხაძე (თბილისი), შ. ჯიქია (თბილისი), ფიფია (თბილისი), ქემოკლიძე (თბილისი)*	ზირაქიშვილი (ხაზარი, აზერბაიჯანი), გუჩუა (სოხუმი), *ქვაჩახია (?), შავგულიძე (?), სომხიშვილი (?), ბესარაშვილი (?)*	
ᲕᲘᲥ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	მუმლაძე (მთავარი მწვრთნელი), ჯანელიძე (მწვრთნელი)	მერებაშვილი (სიონი), ინწკირველი (?, აზერბაიჯანი), ჭურაძე (?)	ლომბარდ პაპა (უნგრეთი) 1:2
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ		თოთლაძე (დინამო), ხმალაძე (სიონი), დარჩიძე (ბაკი, აზერბაიჯანი), ბეგლარ თედორაძე (ბაკი, აზერბაიჯანი)	
ᲡᲘᲝᲜᲘ ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘ	ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), დვალი (დინამო), ქუცურუა (დინამო), ხმალაძე (ბათუმი), მარკოზაშვილი (დინამო), მერებაშვილი (ვიტ ჯორჯია), გვარამაძე (ლოკომოტივი), *კ. შალამბერიძე (დინამო), კაკალაძე (დინამო)*	სვანიძე (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), რუსია (სოხუმი), უგრეხელიძე (სოხუმი) ისიანი (კარიერა დაასრულა), სიდამონიძე (?), ვაშაკიძე (?), ასლანაძე (?), დოლიძე (?)	
ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ ᲤᲝᲗᲘ		კუნჭულია (კახეთი), გიზო შენგელია (ლოკომოტივი), ჯ. შალამბერიძე (სოხუმი), აკობია (დინამო)	
ᲓᲘᲚᲐ ᲒᲝᲠᲘ		მაისურაძე (ცხინვალი), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), გ. ჩიტაია (ცხინვალი), სულთანიშვილი (?), გოჩაშვილი (?)	
ᲐᲛᲔᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	ტატანაშვილი (სპარტაკი), ნიკურაძე (კტპ, ფინეთი)		
ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ	მამალაძე (დინამო), რაქვიაშვილი (ტორპედო), ბაქრაძე (ტორპედო), ჩიგოშვილი (?), *მესხი (თბილისი), გეწაძე (თბილისი), კ. შალამბერიძე (დინამო)*	კვეკვესკირი (სოხუმი), ლაბაძე (?), ვოლკოვი (?), სუხიაშვილი (?), ჯანაშია (?), ვარდიაშვილი (?), მუშკუდიანი (?), ბურნაძე (?), ნოზაძე (?), როსტიაშვილი (?), წივწივაძე (?)	
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ ᲡᲝᲮᲣᲛᲘ	ჟორჟოლიანი (მთავარი მწვრთნელი), კვეკვესკირი (ბორჯომი), გუჩუა (ზესტაფონი), რუსია (სიონი), უგრეხელიძე (სიონი), *გადელია (უგუნდო), სიჭინავა (თურანი, აზერბაიჯანი)*		
ᲙᲐᲮᲔᲗᲘ ᲗᲔᲚᲐᲕᲘ	კვიტაიშვილი (დინამო), კუნჭულია (კოლხეთი), მძინარიშვილი (ლოკომოტივი), *მიქიაშვილი (თბილისი), ქემოკლიძე (თბილისი)*		
ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ	მაისურაძე (დილა), ბ. ჩიტაია (დილა), გ. ჩიტაია (დილა), ნაყოფია (?)		
?	?	?	

ᲛᲔᲥᲝ ᲐᲠᲘᲡᲤᲘᲜᲘᲨᲘ: ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲑᲠᲬᲘᲜᲡᲤᲔᲠᲘ, ᲝᲠᲘ ᲐᲠᲘᲡᲤᲘᲜᲘᲨᲘ: ᲗᲘᲗᲝᲛᲯᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲑᲠᲬᲘᲜᲡᲤᲔᲠᲘ,
ᲡᲐᲛᲬᲘᲜᲓᲝ ᲐᲠᲘᲡᲤᲘᲜᲘᲨᲘ: ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲘ ᲑᲠᲬᲘᲜᲡᲤᲔᲠᲘ

85 მილიონის ამბავი
აბრამოვიჩმა გალიანი ვერ შეაცდინა

ანდრეა შევჩენკოს „ჩელსიმ“ ზღაპრული კონტრაქტი შესთავაზა

„ჩელსიმ“ ანდრეა შევჩენკოს სანაცვლოდ „მილანს“ სარეკორდო თანხა, 85 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ლონდონელებმა 73 მილიონი ნაღდი ფული და ერნან კრესპო შეაძლიეს „შავ-წითლებს“, ოღონდაც უკრაინელი ფორვარდი დაგვითმეთო. კრესპოს ამჟამინდელი ფასი დაახლოებით 12 მილიონი ევროა და სულ 85 გამოდის.

გეხსომებათ, ოთხი წლის წინ მადრიდის „რეალმა“ „იუვენტუსს“ ზინედინ ზიდანში 71 მილიონი ევრო გადაუხადა და ჯერჯერობით მსოფლიოს რეკორდული ტრანსფერიც ესაა. საინტერესოა, რომ „ჩელსი“ შევჩენკოს ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობდა და კვირაში 225 ათას ევროიან ჯამაგირსაც ჰპირდებოდა, მაგრამ...

უკრაინელი მეგოლის გადაბირება რომან აბრამოვიჩს ძალიან ეწადა, შევჩენკოს კი ადრე უთქვამს, რუს მილიარდელს პირადად ვიცნობ და კარგი ურთიერთობა გვაქვსო.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ „ჩელსისგან“ შევჩენკოს შეძენის მცდელობა დაადასტურა: „მათ 85 მილიონი ევრო შემოგვთავაზეს, მაგრამ უარით გავისტუმრეთ. შევჩენკო არ იყიდება“.

დაახლოებით იგივე თქვა უკრაინელის აგენტმა ოსკარ დამიანიმაც, ჩემი კლიენტი „მილანის“ თილისმაა და გუნდიდან წასვლა მის გეგმებში არანაირად არ შედისო.

ვაჟა ხუციშვილი

პაველ ნედვედმა „იუვენტუსთან“ ახალი ხელშეკრულება დადო

მაისობით წასვლის უფლება
პაველ ნედვედი ტურინში რჩება

ევროპის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა, ჩეხმა პაველ ნედვედმა თავის იტალიურ კლუბთან, ტურინის „იუვენტუსთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე გაახანგრძლივა.

ახალი ამბების ჩეხურმა სააგენტო **CTK**-მ კი გაავრცელა ფეხბურთელის აგენტის, ზდენეკ ნეჰოდას გამონათქვამი, რომლის თანახმადაც ნედვედმა ახლებურად გადაწერილ ხელშეკრულებაში ერთი საგულისხმო პუნქტი შეატანინა, კერძოდ, გუნდიდან ნებისმიერი სეზონის ბოლოს წასვლის უფლება დაიტოვა.

ადრინდელი ხელშეკრულების თანახმად, პაველ ნედვედისა და „იუვენტუსის“ თანამშრომლობა 2006 წელს წყდებოდა.

შეგახსენებთ, რომ ნედვედმა შარშან, ევრო 2004-ზე მიიღო მონაწილეობა და ჩეხეთის ნაკრების ხაზევარფინალში გასვლაში დიდი როლიც ითამაშა, მაგრამ შარშანვე მას სანაკრებო ფეხბურთიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, ჩეხი ქომაგები იმედოვნებენ, რომ იუვენტუსელი ამ შეჯიბრებებზე სიტყვას გადათქვამს და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო შეხვედრებში დაეხმარება საშშოლლის მთავარ გუნდს.

შეგახსენებთ აგრეთვე, რომ ჩეხები პირველი ევროპელი შესარჩევი ჯგუფის ლიდერ ჰოლანდიას ქულით ჩამორჩებიან.

გუშინვე ნედვედის დარად „იუვენტუსთან“ კონტრაქტი მცველმა ლილიან ტურამაც გააგრძელა — მანაც 2008 წლამდე.

პაპუნა კედია

ვალენსია ნელ-ნელა იბერებს

დავიდ ვილა ამჟერიდან „ვალენსიასთვის“ გაიტანს

„ვალენსია“ მომავალი სეზონისთვის ემზადება და ახალ ფეხბურთელებს ყიდულობს. ესპანურმა კლუბმა კიდევ ორი მოთამაშე დაიმატა: ნაკრების ფორვარდი დავიდ ვილა და ურუგვაელი ნახევარმცველი მარიო რეგუერო.

დავიდ ვილა „სარაგოსადან“ გადაიყვანეს, ხოლო რეგუერო — სანტანდერის „რასინგიდან“. „ვალენსიამ“ ახალწვეულები მედიას რიგრიგობით წარუდგინა, სარაგოსელი გუშინ გამოეწყო „ღამურების“ მაისურში, ხოლო რასინგელი დღეს ეახლება ჟურნალისტებს.

ვალენსიელებს დავიდ ვილა 14 მილიონი 400 ათასი დოლარი დაუჯდათ, სამაგიეროდ, ურუგვაელი იყო თავისუფალი აგენტი და მუქთად ჩაიგდეს ხელში.

23 წლის ესპანელი მეგოლე დავიდ ვილა ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. 2000 წლიდან პრიმერაში ჩატარებულ 188 მატჩში 84 გოლი გაიტანა, მათ შორის 15 გასულ სეზონში.

შეგახსენებთ, რომ „ვალენსიამ“ უკვე მოასწრო „არსენალიდან“ ედუს, „ნიუკასლიდან“ კი პატრიკ კლუივერტის გადაბირება. მათ გარდა, „ღამურებს“ მიუხედავად „ბაიერნის“ ფრანგი მცველი ვილი სანიოლიც სურთ.

ვაჟა ხუციშვილი

ფოტორომანი ორნი ნავში





ფრენკ არნესენი და რომან აბრამოვიჩი იახტაზე ერთად ნახეს

ლონდონური „ჩელსი“ თაღლითობაში კვლავ ამხილეს. გუნდში ჟოზე მაურინიუს მისვლის შემდეგ ჩელსელები არსენალელ ეშლი კოულთან უკანონო მოლაპარაკებაში გამოიჭირეს და კიდევაც დაუჯარიმეს. ახლა კი „ჩელსის“ თანაქალაქელი „ტოტენჰემი“ ედავება. რომან აბრამოვიჩმა „ტოტენჰემის“ სპორტულ დირექტორ ფრენკ არნესენს „ჩელსიში“ სამუშაო შესთავაზა, „მამლებს“ კი — თანხა დირექტორის სანაცვლოდ. გარიგება არ შედგა, რადგან კლუბები ფასზე ვერ მორიგდნენ. ტოტენჰემელებმა ერთ-ერთ გაზეთში რომან აბრამოვიჩისა და ფრენკ არნესენის სურათი ნახეს, რომელიც რუსი მილიარდელის იახტაზეა გადაღებული.

ამის შემდეგ „ტოტენჰემმა“ „ჩელსის“ ულტიმატუმი წაუყენა, თუ მოლაპარაკებას კანონის ფარგლებში არ მოაქცევთ, ვიჩივლებთ. დღეს შუადღემდე ჩელსელებმა „მამლებს“ ოფიციალური პასუხი უნდა გასცენ.

შეგახსენებთ, რომ ფრენკ არნესენი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი სელექციონერია და „ტოტენჰემის“ ტრანსფერები მისი განხორციელებულია.

ვაჟა ხუციშვილი

მეცამინდა
რიგში ფიორენტინაც ჩადგა



ალბერტო ჯილარდინო მექსიკაში ისვენებს

აი, სეირი — გუშინ იტალიურმა სააგენტოებმა ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს, რა „მილანი“, რის „ჩელსი“, 23 წლის ალბერტო ჯილარდინო ნუ გაიკვირვებთ და, „ფიორენტინაში“ გადადისო.

რატომ მაინცდამაინც „ფიორენტინაში“? იკითხავთ ალბათ. მიზეზი მარტივია, ფლორენციულ კლუბს ახალი სეზონიდან მოგეხსენებათ, ჩეზარე პრანდელი გაწვრთნის, ხოლო პრანდელი კი ის კაცია, ვინაც პირველმა აღმოაჩინა ჯილარდინოს ტალანტი, „პიაჩენცადან“ „პარმაში“ რომ გადაიყვანა მაშინ.

ეს ყოველივე „გაძეტა დელო სპორტმა“ დაწერა, სადაც მოყვანილია ჯილარდინოს აგენტ ბეპე ბონეტოს სიტყვებიც: „დიახ, „ფიორენტინა“ მისით სერიოზულადაა დაინტერესებული, მაგრამ ალბერტოს ფლორენციაში გადასვლა ცოცხალი თავით არ სურს“.

ალბერტო ჯილარდინო ახლა შვებულებაშია, მექსიკის სანაპიროზე ისვენებს და იმავ ბონეტოს თუ ვერწმუნებით, ზარს მხოლოდ „მილანის“ ოფისიდან ელის.

გიორგი ვაშაკიძე

რად უნდათ მდიდრებს კლუბები?

ვინ იცის, მოედანზე რა მოხდება. ხომ შეიძლება გუნდმა წააგოს და... მოკლედ, გარანტია არ არსებობს, სრული დაუცველობაა და მაინც მილონერები საკუთარი კლუბების გარეშე ვერ ძლებენ. რატომ?

ამ კითხვაზე პასუხის მიღებას ჟურნალ **Champion**-ის მიმომხილველის, ჯონი შარპის სტატიის მიხედვით ვცდილობთ, ჯონი შარპი კი საუბარს ასეთი კითხვით იწყებს: როგორ დახარჯავდით ფულს მილიონერი რომ იყოთ?

იყიდდით თვითმფრინავს, მამულებს და სრა-სასახლეებს მთელს დედამიწაზე, შეიძენდით ბილეთს პირველ სამგზავრო კოსმოსურ ხომალდზე, იყიდდით საყვარელი საფეხბურთო გუნდის სტადიონს და მოაკონტავებდით თუ მთლიანად კლუბს შეიძენდით?

ნაღდი გულშემატკივრისთვის, რომელსაც ერთი-ორი მილიონის საკუთარი სიამოვნებისთვის გადაყრა ბევრს არაფერს დააკლებს, ამ კითხვაზე პასუხი ცხადია, მაგრამ როდესაც ფულის რეალური ხარჯვა დაიწყება, შეიძლება სპეციფიკურმა მომენტებმა იჩინოს თავი. მიუხედავად ემოციური და სანახაობრივი პლუსებისა, სრულიად უპროგნოზო ფეხბურთს ერთი ცუდი თვისება აქვს — ბოლოს და ბოლოს, კაცს შეიძლება საკუთარ უკანალზე აპწკენინოს და ზურგით შეატრიალოს.





მალკოლმ გლეიზერი

ბოლო ევროპული პროგნოზის თანახმად, უმაღლესი დონის კლუბებზე დახარჯულმა თანხებმა უკვე მწვერვალს მიაღწია, ხოლო მაყურებლის ინტერესის ზრდასთან დაკავშირებით მკაფიო ტენდენცია არ შეინიშნება. ერთი სიტყვით, ის, რომ კლუბები თავიანთი მატჩების ტელეტრანსლაციების უფლებებს — თუნდაც იმავე საკაბელო, ციფრულ ტელეეპოქაში — გაყიდიან და ამით ოქროს საბადოს მიაგნებენ, ჯერ მხოლოდ თეორიაა. საკმაოდ შეზღუდულია საფეხბურთო კომერციის გეოგრაფიული გაფართოების ვარიანტიც. კერძოდ, ნეპალელი და ნებრასკელი მაყურებელი თუ ფულს გამოვა, მხოლოდ რამდენიმე კლუბის თამაშების სანახავად. ფაქტია: „მანჩესტერ იუნაიტედის" გარდა, არც ერთ ინგლისურ კლუბს არ ჰქონია ბოლო ათ წელიწადში იმდენი შემოსავალი, დაბეგვრის შემდეგ მოგებაში რომ დარჩენილიყო. არადა, ფეხბურთელების ხელფასები და სატრანსფერო თანხები მეტად და მეტად იზრდება. ამიტომაცაა, თვე ისე არ გავა, ამა თუ იმ ბრიტანული კლუბის ფინანსური კრიზისის ამბავი რომ არ შევიტყოთ.

და ზუსტად იგივე ვითარებაა მთელ ევროპაში. თანაც მხოლოდ პატარა კლუბებს როდი; [illegible] შვეიცარიის [illegible] ცნობილი გუნდი „სერვეტი" ამასწინათ დაიხურა, ხოლო „დორტმუნდი", „ლაციო", „ფიორენტინა" და „რომა" რა დღეშიც არიან, ფეხბურთის ამბებში ცოტათი ჩახედული კაცისთვის ცნობილია. ისინი ეძებდნენ ან ეძებენ კაცს, ვინც მათ იყიდის.

შარშან „ლივერპულს" ტაილანდის პრეზიდენტის, თაქსინ შინავატრას სახელთან აკავშირებდნენ. პრეზიდენტს კლუბის ყიდვა და სახელმწიფო ლატარეიდან მიღებული შემოსავლით დაფინანსება სურდა, ლიტველმა ბიზნესმენმა რომანოვმა კი შოტლანდიური „ჰართსის" საკონტროლო პაკეტი შეიძინა და „თინკასტლის" სტადიონის გაყიდვის სკანდალური გეგმაც წარმოადგინა.

2003 წელს „ასტონ ვილას" ვენესუელელი ბიზნესმენი და სატელევიზიო მაგნატი გუსტავო კისნეროსი უტრიალებდა, ხმაურით ცნობილმა ამერიკელმა მალკოლმ გლეიზერმა კი „მანჩესტერ იუნაიტედის" ყიდვამდე, 2001 წელს, „ჰაკ ციურიხის" შეძენა სცადა.

მაგრამ, გაგვაგებინეთ, რად უნდა ამა თუ იმ ფულის მთვლელ კაცს, მითუფრო მულტიმილიონერს ფეხბურთის კლუბი?

(გაგრძელება იქნება)

მინდა ფული, მინდა სახელი, მინდა პირველობა...

ფერია ელამი სვენ გორან ერიკსონის ეროგენული ზონების შესახებ

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ყოფილმა თანამშრომელმა ფერია ელამმა, რომლის სექს-კუნტრუშის ამბავიც „სარბიელის" მკითხველს კარგად მოეხსენება, თავის დროზე თურმე უგზავნა და უგზავნა ნაცნობ-მეგობრებს იმეილები, სადაც ტრაბახობდა, ასეთ და ასეთ ცნობილ ადამიანებთან მაქვს ხელების ფათური ატეხილიო



ფერია ელამი



სვენ გორან ერიკსონი

მარკ პელიოსი

კერძოდ, საუბარი იყო ინგლისის ნაკრების შვედ მწვრთნელზე, სვენ გორან ერიკსონზე და ასოციაციის დიდმოხელე მარკ პელიოსზე, ოღონდ ეს კერძო წერილები, რაღაც მანქანებით გუშინ ინგლისის შრომითი მოწყობის ტრიბუნალს ჩაუვარდა და ჩვენც იქიდან შევიტყეთ მათი შინაარსის ამბავი.

„მე 36 წლის ვარ, გაუთხოვარი და ეს ძალიან მომწონს. ჩემი სოციალური ცხოვრება (სოციალური ცხოვრება ევროკავშირულად პირად, სამსახურის გარე ცხოვრებას ნიშნავს), შესანიშნავია. მე ცნობილ ადამიანებთან მაქვს პაემნები" — წერია მაგალითად, ერთ იმეილში, რომელიც, როგორც მის ელამის მაშინდელი ასაკიდან ჩანს, სამი წლის წინანდელია და რატომღაც დღემდე შემონახულა ვიღაცის კომპიუტერში.

კიდევ ერთი იმეილი: „მინდა ვიყო ბედნიერი, მდიდარი და ძალიან, ძალიან წარმატებული... და ვიქნები კიდეც. ამ ცხოვრებაში მეორეობას ვერ ავიტან და ამას არც ვაპირებ".

სხვათაშორის, ტრიბუნალმა წინა დღეს ფერია ელამს მავან ყოფილ თანამშრომელ ქალზე შეამჩნია გაღიზიანება. ამ თანამშრომლისადმი მიწერილ წერილებში კი ჩვენს სექს-გმირს უწერია, რომ სვენ გორან ერიკსონი „შაქარი" და გულუხვი საყვარელია.

მარკ პელიოსის შესახებ ელამი წერდა: „ჩემი ბოიფრენდი საფეხბურთო სამყაროში ძალიან ცნობილი ვინმეა".

სხვათაშორის, 52 წლის პელიოსმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფის თანამდებობა სწორედ ელამ-სკანდალის გამო დატოვა და კომპენსაციის სახით 600 ათასი ინგლისური გირვანქაც გაიყოლა.

ისევ პელიოსის შესახებ: „ის ევროპელია, ჩემთან შედარებით ასაკოვანი. ჩვენ ერთად დიდებულ დროს ვატარებთ. მე მას სამი თვე დავდევდი სატელეფონო მესიჯებით, ვითომ შემთხვევითი შეხვედრებით და სატელეფონო ზარებით".

ფერია ელამი 57 წლის სვენის შესახებ: „ჯერ არაფერი ყოფილა, მაგრამ ის, ვისაც ხვალ უნდა შევხვდე, პირველზე კიდევ უფრო ცნობილია. მოდი, პირობითად „შაქარი" დავუძახოთ. ის ძალიან საყვარელი ვინმეა. ის მწვრთნელია".

ტრიბუნალზე ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა, ბატონმა ჯეფრი ბეიკონმა აგრეთვე წაიკითხა საგაზეთო წერილი, სადაც ფერია ელამის სხვა მეგობრის სიტყვებია მოტანილი:

„მან მითხრა, რომ სვენთან ფანტასტიკური სექსი ჰქონდა და რომ, შვედი დიდებული საყვარელია. ისიც მითხრა, რომ სვენს ჩინებული სხეული აქვს".

შეგახსენებთ, რომ ფერია ელამი სასამართლოში ჩივის და 30 ათას გირვანქას მხოლოდ სამსახურიდან გაშვების კომპენსაციად ითხოვს. გარდა ამისა, იგი ჩივის, რომ ფეხბურთის ასოციაციის შეფებმა, მისი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია მოიპარეს...

ისე კი, რა ამის პასუხია და სვენი სად არის არ იკითხავთ? ინგლისის ნაკრების მწვრთნელი პაპარაცებმა ფლორენციაში აღმოაჩინეს, სადაც მისმა ქალიშვილმა ლინამ სასწავლებელი დაამთავრა და ამას ყოფილ ცოლთან, ან-კრისტინთან და ყოფილ საყვარელთან, ნენსი დელოლიოსთან ერთად აღნიშნავს.

პაპუნა ძიდია

სერსე კოზმი სერია A-ში დაბრუნდა

ჰალსტუხი და კეპი უდინეზესთვის

„უდინეზეს“ მწვრთნელად სერსე კოზმი დანიშნეს, კაცი, რომელმაც „პერუჯაში“ მუშაობით გაითქვა სახელი და ამის გარდა, თავისი კეპითა და ჰალსტუხით გამოირჩეოდა.

კოზმი შარშან „ჯენოაში“ იყო, გუნდი სერია **A**-ში აღაზევა, მაგრამ იქ დარჩენა აღარ ისურვა და „უდინეზეს“ ორწლიან კონტრაქტზე დასთანხმდა. თავის მხრივ, „ჯენოა“ „პალერმოს“ ყოფილმა თავკაცმა ფრანჩესკო გვიდოლინიმ ჩაიბარა, რომლის ხელქვეითაც პალერმოელებმა უეფას თასის საგზური მოიპოვეს. მანაც ორწლიანზე მოაწერა ხელი, ხოლო „ჯენოას“ პრეზიდენტმა ენრიკო პრეციოზიმ განაცხადა: „გვიდოლინი იმიტომ ვარჩიეთ, რომ მისი გუნდები ყოველთვის ახერხებდნენ ევროთასებზე გასვლას“.

„რაც შეეხება სერსე კოზმის, მას „უდინეზეში“ ძველი ნაცნობი, მოამარ კადაფის შვილი, ალ საადი დახვდება. ალ საადი ჯერ კიდევ მაშინ გადავიდა „პერუჯაში“, როცა სერსე კოზმი იქ იყო, მაგრამ ლიბიის ლიდერის შვილს თამაში არ დასცალდა, ნანდროლონზე გამოიჭირეს და დისკვალიფიკაცია აიკრეს. ახლა სასჯელმოხდილი ალ საადი „პერუჯადან“ გადავიდა „უდინეზეში“, რომელთანაც ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ვაჟა ხუციშვილი

ვიაფარა ინგლისმა შეიფარა

კოლუმბიელი ნახევარმცველი ჯონ ვიაფარა პრემიერლიგის „პორტსმუთში“ გადავიდა. ვიაფარა „ონსე კალდასში“ თამაშობდა, რომელმაც შარშან ლიბერტადორესის თასი მოიგო. მისი სატრანსფერო ფასი კი მხარეებმა არ დაასახელეს.

„ჩვენ კიდევ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი შევიძინეთ. ის საკმაოდ გამოცდილია და ძალიან გამოგვადგება“ — განაცხადა „პორტსმუთის“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიეტრ სტორიმ.

ჯონ ვიაფარას ბრიტანეთის სამუშაო ვიზის მისაღებად პრობლემები არ შექმნია, რადგან ბოლო ორი წლის განმავლობაში ეროვნულ ნაკრებში მუდმივად იწვევდნენ.

„პორტსმუთი“ სატრანსფერო ბაზარზე ყოჩაღობს, რადგან უკვე მესამე ფეხბურთელი შეიძინა. აქამდე მათ „ნიუკასლიდან“ ორი მოთამაშის გადაბირება მოასწრეს — ლორან რობერი და ენდი ობრაიენი მომავალი სეზონიდან საპორტო ქალაქის გუნდში ითამაშებენ.

„შემადგენლობა საგრძნობლად გავაძლიერეთ და პრემიერლიგაში უკეთესი ადგილის დასაკავებლად ვიბრძოლებთ“ — აღნიშნა კლუბის დირექტორმა.

თავად ვიაფარამ კი თქვა: „ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ოდესღაც ევროპაში გადასვლას შევძლებდი და რაკი ინგლისში თამაშის საშუალება მომეცა, მით უკეთესი. მე სწორედ პრემიერლიგური ფეხბურთი მომწონს“.

ვაჟა ხუციშვილი

ჯონ ვიაფარა პორტსმუთელია

პატრიკ კლუივერტი: თქვენ გინდათ ჩემი გოლები?

ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტი კვლავაც ესპანურ პრიმერადივიზიონში ითამაშებს — თავის დროზე „ბარსელონას“ ყოფილი მეგოლე ახალი სეზონიდან „ვალენსიას“ ღირსებას დაიცავს.

აქ ისევ ბევრი გოლების გასატანად ჩამოვედიო, თავიდანვე განუცხადა კლუივერტმა ესპანური „მარკას“ კორესპონდენტს და ახლა ეს ინტერვიუც წაიკითხეთ



— მუხლის ტრავმა საბოლოოდ მოიშუშეთ?

— ტრავმა ძალიან უმნიშვნელოა, ამიტომაც „ვალენსიას“ ექიმებმა გადაწყვიტეს, ჩემს მორჩენას დაელოდონ. გარწმუნებთ, მუხლის გამო „ვალენსიას“ პატრიკ კლუივერტისგან პრობლემა არ შეექმნება.

— მაგრამ ჯერ გადმოსული არ ხართ და უკვე ამბობენ, პატრიკ კლუივერტს „ვალენსიაში“ გაუჭირდებაო...

— სწორედ ეგ ვერ გამიგია, ასე რატომ ამბობენ. თუ ტრავმას გულისხმობთ, გეტყვით, რომ მტკივანი მუხლის ამბავი სულ მალე წარსულს ჩაბარდება და უმაღლეს დონეზე თამაშსაც შევძლებ. ახლა ფიზიოთერაპევტთან ერთად ვმკურნალობ და უახლოესი ორი კვირის განმავლობაში სრულ საბრძოლო ფორმაში ვიქნები.

— „ვალენსიაში“ კი ისე გელოდებიან, როგორც კერპს...

— ეს მომწონს. კარგია, როცა გუნდის ლიდერად გთვლიან. პირადად მე ასეთი პასუხისმგებლობა უფრო მეტად გამაძლიერებს.

— ალბათ „ვალენსიას“ ინჩასებს იცნობთ კიდეც...

— რა თქმა უნდა, ვისაც ესპანურ პრიმერაში თამაშის გამოცდილება აქვს, მშვენივრად იცის, „ვალენსიას“ ფანები როგორ ერთგულად ქომაგობენ გუნდს. ახლა გულშემატკივრებზე და მათთან ურთიერთობაზე საუბარს არ დავიწყებ — ინჩასებმა თავიანთი პატივისცემა კლუბში პირველი ჩამოსვლისთანავე მაგრძნობინეს. ერთიცაა, კლუბი მარტო ერთი ფეხბურთელისგან არ შედგება, ამიტომაც სხვების სახელით ვერავის გარანტიას ვერ მივცემ. რაც შეეხება საკუთრივ ჩემს თამაშს, დარწმუნებული იყავით, ყველაფერს გავაკეთებ, რათა „ვალენსიამ“ ძველი დიდება და ტიტულები დაიბრუნოს. ბოლოს და ბოლოს, „ვალენსიას“ უფროსობამ ჩემთან თანამშრომლობა სწორედ ჯილდოების მოსაგებად გადაწყვიტა.

— ადრე, ესპანეთში თუ ჰოლანდიაში მუდამ ბევრი გოლი გაგქონდათ. დამდეგ პრიმერაში პიჩიჩის (მეგოლე) წოდებისთვის თუ იბრძოლებთ?

— რასაკვირველია, თანაც მეტსაც გეტყვით — რახან „ვალენსიაში“ მოვედი, ესე იგი მეგოლე უნდა გავხდე. აქ ჩემს გარშემო მაგარი ხალხი იქნება, რომელთაც საჭირო დროს პასის დაგვიანება არ სჩვევიათ. გოლების გატანაში დამეხმარება. აქედანვე ჩათვალეთ, 2005-06 წლების ესპანური ლა ლიგის პიჩიჩი პატრიკ კლუივერტია.

— მალე გუნდის ოფიციალურ ფეხბურთელად წარგადგენენ. პატრიკ კლუივერტს ახალ კლუბში რომელი ნომრით ვიხილავთ?

— მე ცხრიანი მომწონს. კარგი იქნება, თუ ჩემს ახალ მაისურას სწორედ ეს ნომერი ეწერება.

— იცით, რომ ვალენსიაში ცხრიანს თარს ციფრად თვლიან?

— არ ვიცოდი, რა გაეწყობა. თუ ცხრიანი „მესტალიაზე“ დაწყვეტილი ნომერია, მაშინ 19 მაინც მომცენ.

— ახალ თანაგუნდელებზე რას გვეტყვით?

— ჩვენ პაბლო აიმარის მსგავსი რამდენიმე დიდებული ინდივიდუალისტი გვყავს, რომელთაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ. თუმც, კლუბის სპეციფიკიდან გამომდინარე, „ვალენსია“ ყოველთვის გუნდური თამაშით ბრწყინავდა — ბარახა, ვისენტე, ალბელდა, ედუ — ყველანი ერთად მეტოქისთვის მტკიცე, აულებელ ციხესიმაგრეს შექმნიან.

— გუნდს ინტერტოტოს მატჩებისთვის დროულად შეუერთდებით?

— პირველი თამაშებისთვის ალბათ ვერა, მაგრამ შემდგომ ეტაპზე უკვე მზად ვიქნები. ახლა, როგორც გითხარით, ამსტერდამში ფიზიოთერაპევტთან ერთად ვვარჯიშობ, მერე კი წვრთნას გუნდის დანარჩენ წევრებთან განვაგრძობ. ექიმებმა აღმითქვეს, რომ ორ კვირაში ტრავმის მხრივ არანაირი პრობლემა არ მექნება.

— ახლა თქვენთვის არასასიამოვნო თემებსაც შევეხოთ: თქვენი კონტრაქტი უდისციპლინოდ მოქცევის შემთხვევაში გარკვეულ სასჯელსაც ითვალისწინებს...

— საკონტრაქტო ხელშეკრულებაში ამ მუხლის შეტანა თავად „ვალენსიამ“ მოისურვა და მეც უარი არ მითქვამს. დასამალი არაფერია, ჩემს კარიერაში სკანდალური ეპიზოდები იყო, თუმც ახლა ძველი ამბები ისტორიას ჩაბარდა

— მიუხედავად იმისა, რომ საფეხბურთო ევროპა კლუივერტს დღესაც მოურჯულებელ მოქეიფედ იცნობს?

— „ვალენსიაში“ გოლების გასატანად მოვედი და არა უსაქმურობისთვის. აქ მე ქეიფებსა და ღამეული ორგიების მოწყობას არ ვაპირებ. ჩემში ინჩასები ძალე დარწმუნდებიან.

— ბოლოს ჰოლანდიის ნაკრებზეც ვთქვათ. არ გინდათ დაბრუნება?

— ჰოლანდიის ნაკრებს უმაღლესი კლასის თავდამსხმელები ჰყავს, მაგრამ თუ კლუბში ჩვეულად ავთამაშდი, ვინ იცის.

მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

ჰოლანდია. 10 ივნისი — 2 ივლისი

ძუნწი ესპანეთი

კოლუმბია დამარცხდა, გაუმარჯოს არგენტინას!

AFP კადრიდან

ესპანელებმა გუშინწინ ასე „მხოლოდ“ სამჯერ გაიხარეს

მერვეფინალი

კოლუმბია 1:2 *არგენტინა*
უკრაინა 0:1 *ნიგერია*
ჰოლანდია 3:0 ჩილე
ესპანეთი 3:0 თურქეთი

კოლუმბია, რომელმაც ჯგუფური ეტაპი რიხით გაიარა, სამიავე მატჩი მოიგო და გოლი არ გაუშვა, არგენტინასთან [illegible] ნალური შეხვედრის [illegible] დამარცხდა.

დაცვაში კარგად მოთამაშე კოლუმბიელები პირველ ტაიმში მეტოქის ნახევარზე იშვიათად გადადიოდნენ, არგენტინელები კი ლეო მესის „თამადობით“ ლიბის არენასის კარს უტრიალებდნენ. მესიმ შესვენებამდე სამი ისეთი პასი გაუჩარხა თანაგუნდელებს, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ, გაეტანათ, მაგრამ ჯერ როდრიგი არჩუბიმ ვერ ივარგა, მერე კი ორჯერ ნერი კარდოზომ გაანიავა საგოლე მომენტები.

მეორე ნახევრის დაწყებიდან შვიდ წუთში კი კოლუმბიამ ანგარიში გახსნა — ჰარისონ ოტავიომ აბელო აგილარის პასით იხეირა და კოლუმბიელებიც ნაქებ დაცვაში ჩასხდნენ, მაგრამ მესიმ არ მოისვენა, მეტოქის მცველები დააწიოკა, კარდოზოსთან „კედელი“ გაითამაშა და პირველი ფეხბურთელი გახდა ტურნირზე, ვინაც კოლუმბიას გოლი გაუტანა.

ამის შემდეგ თამაში განელდა და ორივე გუნდი ფრთხილობდა, რამაც საგოლე მომენტების ნაკლებობა გამოიწვია. მხოლოდ მატჩის მიწურულს გახალისდნენ მეტოქეები და შეცვლაზე შესულ ემილინო არმენტეროსის დარტყმა ლიბის არენასმა საწაულებრივ მოიგერია.

მეოთხე მსაჯმა „ელექტროდაფა გამოფინა“, სამი წუთი დავამატეთო და სწორედ ამ დროის დასაწყისში [illegible] ფრანსისკო ფერარომ ნამატჩევს განაცხადა: „ეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება დიდი შრომის შედეგია და გვსურს, რომ ასე გავაგრძელოთ“, ხოლო კოლუმბიელთა თავკაცმა ედუარდო ლარამ მეტოქე შეაქო: „ჩვენ ძალიან ძლიერ მოწინააღმდეგეს ვეთამაშეთ, რომელიც უპირატესობას ფლობდა და გვაჯობა. მე მხოლოდ ის დამრჩენია, რომ არგენტინელებს მივულოცო. ვიმედოვნებ, ისინი ფინალში გავლენ და სამხრეთ ამერიკას ასახელებენ“.

სამსონ სიასიას გაწვრთნილმა „სუპერმართველებმა“ ალექსეი მიხაილიჩენკოს უკრაინას მოუგეს. სიასია ნიგერიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელია, რომელსაც მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე არგენტინისთვის გოლი გაუტანია. უკრაინელთა მთავარი ფეხბურთელს, გამთამაშებელ ალექსანდრ ალიევს აფრიკელებმა ყოველმხრივ შეუზღუდეს სივრცე და მიხაილიჩენკოს გუნდსაც თამაში არ წაუვიდა. მთელი მატჩის განმავლობაში საგოლე მომენტებიც ნაკლები იყო, ფორვარდები ვერ ყოჩაღობდნენ და“ საბოლოოდ, ნიგერიელთა ცენტრალურმა მცველმა ტაიო ტაივემ ივარგა. მან ლეონიდ მუსინის შეცდომით ისარგებლა და მეკარეს ბურთი თავზე გადაავლო.

სამსონ სიასიამ ნამატჩევს განაცხადა: „ეს მართლაც იღბლის გოლი გამოდგა, მაგრამ ფეხბურთში ხომ იღბალიც საჭიროა. ამ ტურნირისთვის ჩვენ სათანადოდ ვერ მოვემზადეთ და მით უფრო სასიხარულოა, რომ მეოთხედფინალში გავედით. ცხადია, ამის შემდეგ მეტის მიღწევა გვსურს და შევეცდებით, ფინალშიც გავიდეთ“.

მასპინძელი ჰოლანდიელები ჩილეს იოლად გაუსწორდნენ. სამხრეთამერიკელებმა მატჩის განმავლობაში სამჯერ მოარტყეს ბურთი კარის ჩარჩოში, „ნარინჯისფერებმა“ კი თერთმეტჯერ და აქედან სამი გაიტანეს. ამსტერდამის „აიაქსის“ ფორვარდმა რაიან ბაბელმა ანგარიში მესამე წუთზე გახსნა და ეს გოლი დუაიტ ტინდალის სწრაფად გათამაშებულ საჯარიმოს მოჰყვა. სანამ ჩილელი მცველები დალაგდებოდნენ, ბაბელმა ბურთი კარლოს ესპინოზას კარის ცხრიანში შეტენა. პირველი გოლის ავტორის პასით ოვუსიე აბეიემ მეორე ტაიმის მიწურულს იხეირა, ხოლო აბეიეს შემცვლელმა კოლინზ ჯონმა მოედანზე შესვლიდან სამიოდ წუთში კიდევ ერთი გოლი მიითვალა და ჩილელთა რბევა ამით დასრულდა.

ინაკი საესის ესპანეთმა ჯგუფურ ეტაპზე ყველაზე მეტი, ცამეტი გოლი გაიტანა და მერვედფინალში იძულწა — პირენელეებმა პირველივე ტაიმში მოამთავრეს საქმე. ხუანფრანმა ორჯერ ისარგებლა ოსმალო მცველების შეცდომით და ესპანეთი 2:0 დაწინაურდა. დაცვის უსუსური თამაშით განაწყენებულმა თურქთა მწვრთნელმა ორი ფეხბურთელი გამოცვლა, მაგრამ ამით ვერაფერი გამოასწორა. მეორე ნახევარში რობუსტემ თავური დარტყმით მესამე გოლი გაიტანა და ესპანეთი მეოთხედფინალში გავიდა.

ვაჟა ხუციშვილი

მეოთხედფინალი

24.06	მაროკო — იტალია
24.06	გერმანია — ბრაზილია
25.06	ნიგერია — ჰოლანდია
25.06	არგენტინა — ესპანეთი



დიეგო მარადონა „ბოკა ხუნიორსის“ ვიცე-პრეზიდენტია

ახალი ბოკა ხუნიორსი დიეგოს გემოვნებით

მარადონა მშობლიურის ვიცეა

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა დიეგო არმანდო მარადონა მალე მშობლიურ „ბოკა ხუნიორსს“ დაუბრუნდება, ოღონდ ამჯერად კლუბის ვიცე-პრეზიდენტის რანგში. [illegible] ბოკას საქმიანობას ოფიციალურად 1 აგვისტოდან შეუდგება.

„იგი უფრო ტრანსფერებით იქნება დაკავებული ანუ მან გუნდიდან წამსვლელ-მომსვლელთა ამბები უნდა განაგოს. ამასთანავე, მარადონა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილ ტურნირებზე კლუბს თან უნდა ახლდეს“ — განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს მაურისიო მაკრიმ, „ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტმა.

დიდი დიეგოს ხელმეორედ დაბრუნება „ბოკაში“, გუნდის უმწვრთნელო პერიოდს დაემთხვა. მოგეხსენებათ, სენიორ მაკრი ხორხე ბენიტესის შემცვლელს ჯერჯერობით უშედეგოდ ეძებს. მარადონას მწვრთნელის პოსტზე ძველი მასწავლებლის, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების თავკაცის ალფიო ბაზილეს მიყვანა სურს, თუმც პრეზიდენტი მაკრი სხვაგვარად ფიქრობს — მას დასახელებული სამი კანდიდატიდან ერთ-ერთის დანიშვნა უნდა. ეს სამეული კი „ბანფილდში“ მოღვაწე ხულიო ფალკონი, ურუგვაის ნაკრების თავკაცი ხორხე ფოსატი და ამჟამად უმუშევარი მარსელო ბიელსა გახლავთ.

„ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელის საკითხს დიეგოსთან ერთად გადავწყვეტთ“ — აცხადებს „ბოკას“ უფროსობა.

ლადო ხომერიკი

AFP კადრიდან

არგენტინელები მეოთხედფინალში გასვლას ზეიმობენ

რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

შინიკი 1:1 ცსკა
ლოკომოტივი 1:0 კრილია

ლოკომოტივი	14	8	6	0	20:3	30
სპარტაკი	12	7	2	3	23:12	23
ზენიტი	13	5	5	3	19:13	20
მოსკოვი	11	5	4	2	12:5	19
რუბინი	12	5	4	3	15:14	19
ცსკა	10	5	3	2	16:5	18
დინამო	12	6	0	6	14:20	18
კრილია	13	4	5	4	12:15	17
ტორპედო	11	4	3	4	13:9	15
შინიკი	12	3	6	3	9:10	15
სატურნი	12	4	2	6	9:9	14
ამკარი	12	2	7	3	9:13	13
ტომი	12	2	4	6	8:15	10
ტერეკი	12	2	3	7	8:19	9
როსტოვი	12	2	3	7	7:19	9
ალანია	12	2	3	7	8:21	9

შვედეთი

ალსვენსკა
XI ტური

სუნდსვალი 0:2 კალმარი
ჰეკენი 3:1 გიოტებორგი

იურგორდენი	11	7	2	2	24:14	23
ჰეკენი	11	6	1	4	20:12	19
კალმარი	11	5	4	2	10:6	19
მალმიო	11	6	1	4	13:11	19
ჰალმსტადი	11	5	2	4	18:13	17
გიოტებორგი	11	4	5	2	11:9	17
ჰელსინგბორგი	11	5	2	4	17:17	17
ელფსბორგი	11	4	3	4	17:17	15
ჰამარბი	11	4	3	4	13:14	15
იორგრიტე	11	4	2	5	14:17	14
ლანდსკრონა	11	3	4	4	14:20	13
სუნდსვალი	11	3	1	7	12:19	10
გეფლე	11	3	1	7	9:16	10
ასირისკა	11	2	1	8	7:14	7

Copa Toyota Libertadores '2005

ლიბერტადორესის თასი 2005

ნახევარფინალი. პირველი მატჩი

სან პაულუ (ბრაზილია) 2:0 რივერ პლეიტი (არგენტინა)
1:0 დანილო (76), 2:0 როჟერიო სენი (88)

ფიფას კონფედერაციის თასი 2005
გერმანია. 15–29 ივნისი

III ტურის მიმოხილვა

სოსო კოტორაძეიშვილი

კარგი ბიჭების კარგი თამაში
კლინსმანმა მესამე ტიმოს დაუთმო

ბასტიან შვაინსტაიგერი იურგენ კლინსმანის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია

თხუთმეტი წელია, გერმანიას არგენტინის დამარცხება ვერ მოუხერხებია. თხუთმეტი წლის წინანდელი გამარჯვების შეხსენება კი ბუნდესნაკრების ქომაგთათვის, ვინძლო, ზედმეტიც იყოს — 1990 წლის მუნდიალის ფინალში ხომ გერმანელებმა ანდრეას ბრემეს პენალტიდან გატანილი გოლით მოუგეს სამხრეთამერიკელებს და მესამედ შეიქნენ მსოფლიოს ჩემპიონები.

იმდროინდელი ნაციონალმანშაფტის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი და მთავარმეგოლე დღევანდელი გერმანიის ნაკრების თავკაცი იურგენ კლინსმანი იყო. კონფედერაციის თასის **A** ჯგუფის ბოლო ტურის, გერმანია — არგენტინის მატჩის წინ ჰერ იურგენს, ცხადია, ზემოთ ნახსენები ფინალი მოაგონეს და თხუთმეტწლიანი ნავსის გატეხვა მოსთხოვეს.

„ჩვენ გავიმარჯვებთ!“ — გამოუკრავს გასახდელში უზარმაზარი პლაკატი ბუნდესმწვრთნელსაც, მაგრამ გერმანიამ ეგრემც ვერ შეძლო არგენტინის დამარცხება, თუმც ჯგუფში პირველობა მაინც დაიბეგა და სანახევრფინალო მეტოქედ ბრაზილია ირგუნა. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა **B** ჯგუფში მეორეობა იკმარეს, ბოლო ტურში ზიკოს გაწვრთნილ იაპონიას ვერ აჯობეს და პირველობა მექსიკელებს დაუთმეს.

მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ კვირას გასამართ მეორე ნახევარფინალში არგენტინა „ტრიკოლორს“ შეეყრა.

გერმანელი ექიმები ბასტიანმა დაანგრია

წინა ორ მატჩთან შედარებით, კლინსმანმა ბუნდესნაკრების შემადგენლობა გადაახალისა. კარის დაცვა ამჯერად შტუტგარტელ ტიმო ჰილდებრანდს ანდო, დაცვის მარჯვენა ფლანგი ანდრეას ჰინკელს ჩააბარა, თუმც შევნიშნოთ, რომ ეს იძულებითი ცვლილება იყო — ძირითად მარჯვენაფლანგელ არნე ფრიდრიხს ორი ყვითელი ბარათის გამო მოუწია თამაშის გამოტოვება. მაგრამ მთავარი სიურპრიზი ნიურნბერგის „ფრანკენშტადიონზე“ შეკრებილი ქომაგთათვის ნაკრების კაპიტნის, მიხაელ ბალაკის უთამაშობლობა იყო — ჰერ იურგენმა ბაიერნელს დასვენების საშუალება მისცა, თან მიხაელს ყვითელი ბარათის მიღება უკვე მოესწრო და მწვრთნელმაც არ გარისკა, კაპიტანი სანახევარფინალოდ შემოინახა.

გამარჯვებამოწყურებულ გერმანელებთან ქედის მოხრას არ აპირებდნენ არგენტინელები. გაუჩოთა კაპიტანი ხუან პაბლო სორინი მატჩამდე ამბობდა: „ჩვენ გერმანია აუცილებლად უნდა დავამარცხოთ, კონფედერაციის თასის დაუფლებას ვეშურებით და გაისად ამ დროს მუნდიალის მოგებასაც ვაპირებთ. არგენტინის ნაკრების ფეხბურთელები ბრწყინვალე ტექნიკით გამოირჩევიან, გაამართლეს ახალგაზრდებმაც, განსაკუთრებით ლუკას ბერნარდიმ და მარიო სანტანამ“.

ძნელია არ დეთანხმო სორინის. გაუჭოთა მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა მართლაც ისეთი გუნდი შეკრა, რომლის ჯობნა ერთობ რთული საქმეა. ამას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ბრაზილიის 3:1 დამარცხება და კონფედერაციის თასზე ნაჩვენები თამაშებიც ადასტურებს. პეკერმანმა თავის გამოჩენის შანსი მისცა იმ მოთამაშეებს, რომლებიც ნაკრების ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად იბრძვიან და რომლებსაც მწვრთნელი კარგად იცნობს. შეგახსენებთ, რომ არგენტინის მთავარ გუნდში გაპირველაცებამდე პეკერმანი ქვეყნის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებს თავკაცობდა. სწორედ მის ხელში გაიარეს სავოლამ, როდრიგესმა, გალეტმა, ფიგეროამ, კოლოჩინმ, ეს ბიჭები ახლა წამყვანი მოთამაშეები არიან და მწვრთნელსაც სამუნდიალოდ მათი ეიმედება. მთავარი ფიგურა კი მაინც ხუან რომან რიკელმეა, რომლის ნიჭსა და უნარზეა უმეტესად დამოკიდებული პეკერმანის გუნდის წარმატებული თამაში.

გერმანია — არგენტინის ჯგუფური შეხლა მოლოდინისამებრ თვალსაჩინო და დრამატული გამოდგა. ბასტიან შვაინსტაიგერის, სებასტიან დასლერისა და ფაბიან ერნსტის წყალობით ნაციონალმანშაფტი უპირატესობას დაეუფლა და 29-ე წუთზე ანგარიშიც გახსნა — გოლი კევინ კურანიმ მითვალა. მაგრამ გერმანელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, ხავიერ ძანეტის წაქცევისთვის დანიშნულ საჯარიმოს რიკელმემ „გაცოცა“ არ აცალა, ბურთი კედელს უმალ შემოავლო და ჰილდებრანდის კარის ცხრიანში შეჭედა. ამ ეპიზოდისას ყველა გააკვირვა შვაინსტაიგერმა, რომელმაც დარტყმის მომენტში კედელი მიატოვა და საკუთარი კარის მარცხენა ძელისკენ გაიქცა. ნამატჩევს ბასტიანმა თავისი ნამოქმედარი ასე ახსნა: „მე და ტიმო შეთანხმებული ვიყავით, როცა რიკელმეს საჯარიმოს დარტყმის შესაძლებლობა მიეცემოდა, მე მარცხენა ძელთან უნდა ვმდგარიყავი. მაგრამ არგენტინელმა ისე სწრაფად და მოულოდნელად დაარტყა, ძელთან ჩარბენა ველარ მოვასწარი“. ერთი სიტყვით, რიკელმემ ანგარიში გაათანაბრა და არგენტინაც მოფერიანდა.

მეორე ტაიმის დასაწყისიც პირველის მსგავსი გამოდგა — გერმანია უტევდა და დაწინაურდა კიდეც, ამჯერად ჯერალდ ასამოამ გამოიჩინა თავი. პეკერმანმა თამაშის გადასარჩენად შეტევის გაძლიერება გადაწყვიტა და მოედანზე პაბლო აიმარი და მარიო სანტანა შეუშვა. ნაციონალმანშაფტმაც სამხრეთელთა მიძალებას ველარ გაუძლო, ესტებან კამბიასოს დარტყმული ბურთი დაისლერს მოხვდა და ჰილდებრანდის კარში შეევარდა.

ფრის მიუხედავად, შედეგით კმაყოფილი იყო იურგენ კლინსმანი: „მართალია, ჩვენ კვლავ ვერ შევძელით მსოფლიოს ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის დამარცხება, მაგრამ არც წაგვიგია. გუნდმა ტაქტიკურად გამართულად ითამაშა. ნახევარფინალში ბრაზილიის შევხვდებით, რაც ჩვენი ძალების კიდევ ერთხელ შემოწმების კარგი საშუალებაა. თუ პენტაკამპიონებს ვაჯობეთ, არგენტინას ფინალში მოვუგებთ. ვფიქრობ, პეკერმანის გუნდი ნახევარფინალში მექსიკას დაამარცხებს“.

უკმაყოფილო არც არგენტინელთა დამრიგებელი ხოსე პეკერმანი ჩანდა: „მოგება გვსურდა, მაგრამ პირველ ტაიმში გერმანელებმა აშკარად გვაჯობეს. მეორე ნახევარში კი ჩვენ ვიყავით უკეთესნი. ალბათ დამეთანხმებით, რომ კარგი თამაში გამოვიდა“.

ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა გიუნტერ ნეტცერმა კი ნიურნბერგული მატჩი ასე შეაფასა: „ტურნირის საუკეთესო მატჩი იყო. ჩვენების თამაშით კმაყოფილი დავრჩი, განსაკუთრებით ნახევარმცველები მომეწონნენ. ახლანდელი ნაკრების უპირატესობა მის ახალგაზრდობაშია, დარწმუნებული ვარ, გაისად ეს ბიჭები შეუჩერებლები იქნებიან“.

ცრუ განგაში

მექსიკასთან წაგებულ შეხვედრას იაპონიასთან ფრე მიაყოლა ბრაზილიის ნაკრებმა და შეიძლება ითქვას, ჯგუფიდან გაჭირვებით გაალწია. არადა, პენტაკამპიონთა მწვრთნელ კარლოს ალბერტო პარეირას რომ უსმინო, საგანგაშო არაფერია და ბრაზილიამ კონფედერაციის თასზე დასახულ მიზანს უკვე მიაღწია. „ეს ტურნირი ბოლო შესაძლებლობა იყო საიმისოდ, რომ ნაკრების კანდიდატები საქმეში გამოგვეცადა. მერე კიდევ, უპირველესად ნახევარფინალში გასვლას ვგეგმავდით და როგორც ნახეთ, ჯგუფიდან გასვლა შევძელით — ამბობს პარეირა — მექსიკასთან და იაპონიასთან მატჩებში უამრავი საგოლე მომენტი გავანიავეთ. აზიელებთან შეხვედრაში პირველივე ტაიმში უნდა მოგვეთავებინა საქმე. მერე კი რატომღაც მოვეშვით, იაპონელებმაც ჩვენი გულარხეინობით ისარგებლეს და ანგარიშიც გაათანაბრეს“.

პარეირას გერმანიასთან გასამართ ნახევარფინალურ მატჩზეც დაეკითხნენ: „გერმანელები ამ ტურნირის მოგებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ძალიან რთული თამაში გველის. საქმე ისაა, რომ არგენტინასთან კლინსმანმა გუნდის ლიდერები დასვა, მე კი თავი უნდა ვიმტკიცოთ, ვინ [illegible] თამაშო შაბოს, ფეხბურთელია უფ[illegible] ტესობა ძალიან დაიდგა“ — [illegible] ღვია თავი პარეირამ.

ლავოლპეს რეკორდი

საბერძნეთთან მატჩამდე ტექნიკურ ბანაკში დიდი არეულობა იყო. ოკეანისგაღმელთა მწვრთნელმა რიკარდო ლავოლპემ ორი წამყვანი ფეხბურთელი, მცველები აარონ გალინდო და სალვადორ კარმონა დაითხოვა. გერმანული პრესის მტკიცებით, მექსიკელები დოპინგ-ტესტზე ჩავარდნენ და ამიტომაც აიკრძალნენ გერმანიიდან გუდა-ნაბადი. მაგრამ ლავოლპეს თქმით, ფეხბურთელთა ნაკრებიდან მოკვეთის მიზეზი მათი უდისციპლინობა ყოფილა. „სულაც არ ვაპირებ, ყოველივე დაწვრილებით მოგიყვეთ — იქით შეუტია ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე ლავოლპემ — მხოლოდ ერთს გეტყვით, გალინდომ და კარმონამ რეჟიმი დაარღვიეს, მე კი უდისციპლინობას არავის ვაპატიებ. ეს გამიგია, რატომ ცდილობთ, რაღაც არარსებული ისტორიები მოიგონოთ. დოპინგის ამბავს ვგულისხმობ“

ერთი სიტყვით, ლავოლპემ გუნდში წესრიგი დაამყარა და შეკრიბილები ბერძნთა წინააღმდეგ სათამაშოდ მზმართა. ჯგუფში გაპირველებულმა მექსიკელებმა, რომლებმაც ბრაზილიელთა ძლევით გამოჩინეს თავი, ფინალურ ჩემპიონებს ვერ მოუგეს, თუმც ძალგაზ ქულა კი შემატეს და პენტაკამპიონებიც მეორეობას დაუკრეს ეული რეპაგელმა და მისმა გაწვრთნილმა ელინებმა კი გერმანია უყოყმანოდ და კინკილა ქულით დატოვეს.





აარონ გალინდო და სალვადორ კარმონა მექსიკელთა მწვრთნელმა ნაკრებიდან უდისციპლინობისთვის დაითხოვა

ინგლისი. პრემიერლიგა 2005-2006

2005 წელი

1-ლი ტური: 13 აგვისტო
არსენალი : ნიუკასლი
ასტონ ვილა : ბოლტონი
ევერტონი : მანჩესტერი
ფულემი : ბირმინგემი
სიტი : ვესტ ბრომვიჩი
მიდლსბრო : ლივერპული
პორტსმუთი : ტოტენჰემი
სანდერლენდი : ჩარლტონი
ვესტ ჰემი : ბლეკბერნი
უიგანი : ჩელსი

მე-2 ტური: 20 აგვისტო
ბირმინგემი : სიტი
ბლეკბერნი : ფულემი
ბოლტონი : ევერტონი
ჩარლტონი : უიგანი
ჩელსი : არსენალი
ლივერპული : სანდერლენდი
მანჩესტერი : ასტონ ვილა
ნიუკასლი : ვესტ ჰემი
ტოტენჰემი : მიდლსბრო
ვესტ ბრომვიჩი : პორტსმუთი

მე-3 ტური: 23-24 აგვისტო
არსენალი : ფულემი
ბირმინგემი : მიდლსბრო
ბოლტონი : ნიუკასლი
ჩარლტონი : ლივერპული
პორტსმუთი : ასტონ ვილა
სანდერლენდი : სიტი
ბლეკბერნი : ტოტენჰემი
ჩელსი : ვესტ ბრომვიჩი
ევერტონი : ვესტ ჰემი
მანჩესტერი : უიგანი

მე-4 ტური: 27 აგვისტო
ასტონ ვილა : ბლეკბერნი
ფულემი : ევერტონი
ლივერპული : არსენალი
სიტი : პორტსმუთი
მიდლსბრო : ჩარლტონი
ნიუკასლი : მანჩესტერი
ტოტენჰემი : ჩელსი
ვესტ ბრომვიჩი : ბირმინგემი
ვესტ ჰემი : ბოლტონი
უიგანი : სანდერლენდი

მე-5 ტური: 10 სექტემბერი
ბირმინგემი : ჩარლტონი
ბოლტონი : ბლეკბერნი
ჩელსი : სანდერლენდი
ევერტონი : პორტსმუთი
მანჩესტერი : სიტი
მიდლსბრო : არსენალი
ნიუკასლი : ფულემი
ტოტენჰემი : ლივერპული
ვესტ ბრომვიჩი : უიგანი
ვესტ ჰემი : ასტონ ვილა

მე-6 ტური: 17 სექტემბერი
არსენალი : ევერტონი
ასტონ ვილა : ტოტენჰემი
ბლეკბერნი : ნიუკასლი
ჩარლტონი : ჩელსი
ფულემი : ვესტ ჰემი
ლივერპული : მანჩესტერი
სიტი : ბოლტონი
პორტსმუთი : ბირმინგემი
სანდერლენდი : ვესტ ბრომვიჩი
უიგანი : მიდლსბრო

მე-7 ტური: 24 სექტემბერი
ბირმინგემი : ლივერპული
ბოლტონი : პორტსმუთი
ჩელსი : ასტონ ვილა
ევერტონი : უიგანი
მანჩესტერი : ბლეკბერნი
მიდლსბრო : სანდერლენდი
ნიუკასლი : სიტი
ტოტენჰემი : ფულემი
ვესტ ბრომვიჩი : ჩარლტონი
ვესტ ჰემი : არსენალი

მე-8 ტური: 1 ოქტომბერი
არსენალი : ბირმინგემი
ასტონ ვილა : მიდლსბრო
ბლეკბერნი : ვესტ ბრომვიჩი
ჩარლტონი : ტოტენჰემი
ფულემი : მანჩესტერი
ლივერპული : ჩელსი
სიტი : ევერტონი
პორტსმუთი : ნიუკასლი
სანდერლენდი : ვესტ ჰემი
უიგანი : ბოლტონი

მე-9 ტური: 15 ოქტომბერი
ბირმინგემი : ასტონ ვილა
ჩარლტონი : ფულემი
ჩელსი : ბოლტონი
ლივერპული : ბლეკბერნი
სიტი : ვესტ ჰემი
მიდლსბრო : პორტსმუთი
სანდერლენდი : მანჩესტერი
ტოტენჰემი : ევერტონი
ვესტ ბრომვიჩი : არსენალი
უიგანი : ნიუკასლი

მე-10 ტური: 22 ოქტომბერი
არსენალი : სიტი
ასტონ ვილა : უიგანი
ბლეკბერნი : ბირმინგემი
ბოლტონი : ვესტ ბრომვიჩი
ევერტონი : ჩელსი
ფულემი : ლივერპული
მანჩესტერი : ტოტენჰემი
ნიუკასლი : სანდერლენდი
პორტსმუთი : ჩარლტონი
ვესტ ჰემი : მიდლსბრო

მე-11 ტური: 29 ოქტომბერი
ბირმინგემი : ევერტონი
ჩარლტონი : ბოლტონი
ჩელსი : ბლეკბერნი
ლივერპული : ვესტ ჰემი
სიტი : ასტონ ვილა
მიდლსბრო : მანჩესტერი
სანდერლენდი : პორტსმუთი
ტოტენჰემი : არსენალი
ვესტ ბრომვიჩი : ნიუკასლი
უიგანი : ფულემი

მე-12 ტური: 5 ნოემბერი
არსენალი : სანდერლენდი
ასტონ ვილა : ლივერპული
ბლეკბერნი : ჩარლტონი
ბოლტონი : ტოტენჰემი
ევერტონი : მიდლსბრო
ფულემი : სიტი
მანჩესტერი : სიტი
ნიუკასლი : ბირმინგემი
პორტსმუთი : უიგანი
ვესტ ჰემი : ვესტ ბრომვიჩი

მე-13 ტური: 19 ნოემბერი
ბირმინგემი : ბოლტონი
ჩარლტონი : მანჩესტერი
ჩელსი : ნიუკასლი
ლივერპული : პორტსმუთი
სიტი : ბლეკბერნი
მიდლსბრო : ფულემი
სანდერლენდი : ასტონ ვილა
ტოტენჰემი : ვესტ ჰემი
ვესტ ბრომვიჩი : ევერტონი
უიგანი : არსენალი

მე-14 ტური: 26 ნოემბერი
არსენალი : ბლეკბერნი
ასტონ ვილა : ჩარლტონი
ევერტონი : ნიუკასლი
ფულემი : ბოლტონი
სიტი : ლივერპული
მიდლსბრო : ვესტ ბრომვიჩი
პორტსმუთი : ჩელსი
სანდერლენდი : ბირმინგემი
ვესტ ჰემი : მანჩესტერი
უიგანი : ტოტენჰემი

მე-15 ტური: 3 დეკემბერი
ბირმინგემი : ვესტ ჰემი
ბლეკბერნი : ევერტონი
ბოლტონი : არსენალი
ჩარლტონი : სიტი
ჩელსი : მიდლსბრო
ლივერპული : უიგანი
მანჩესტერი : პორტსმუთი
ნიუკასლი : ასტონ ვილა
ტოტენჰემი : სანდერლენდი
ვესტ ბრომვიჩი : ფულემი

მე-16 ტური: 10 დეკემბერი
ბირმინგემი : ფულემი
ბლეკბერნი : ვესტ ჰემი
ბოლტონი : ასტონ ვილა
ჩარლტონი : სანდერლენდი
ჩელსი : უიგანი
ლივერპული : მიდლსბრო
მანჩესტერი : ევერტონი
ნიუკასლი : არსენალი
ტოტენჰემი : პორტსმუთი
ვესტ ბრომვიჩი : სიტი



ჩემპიონი „ჩელსი“
ახალ სეზონს „უიგანით“ დაიწყებს

მე-17 ტური: 17 დეკემბერი
არსენალი : ჩელსი
ასტონ ვილა : მანჩესტერი
ევერტონი : ბოლტონი
ფულემი : ბლეკბერნი
სიტი : ბირმინგემი
მიდლსბრო : ტოტენჰემი
პორტსმუთი : ვესტ ბრომვიჩი
სანდერლენდი : ლივერპული
ვესტ ჰემი : ნიუკასლი
უიგანი : ჩარლტონი

მე-18 ტური: 26 დეკემბერი
ასტონ ვილა : ევერტონი
ჩარლტონი : არსენალი
ჩელსი : ფულემი
ლივერპული : ნიუკასლი
მანჩესტერი : ვესტ ბრომვიჩი
მიდლსბრო : ბლეკბერნი
პორტსმუთი : ვესტ ჰემი
სანდერლენდი : ბოლტონი
ტოტენჰემი : ბირმინგემი
უიგანი : სიტი

მე-19 ტური: 28 დეკემბერი
არსენალი : პორტსმუთი
ბირმინგემი : მანჩესტერი
ბლეკბერნი : სანდერლენდი
ბოლტონი : მიდლსბრო
ევერტონი : ლივერპული
ფულემი : ასტონ ვილა
სიტი : ჩელსი
ნიუკასლი : ჩარლტონი
ვესტ ბრომვიჩი : ტოტენჰემი
ვესტ ჰემი : უიგანი

მე-20 ტური: 31 დეკემბერი
ასტონ ვილა : არსენალი
ჩარლტონი : ვესტ ჰემი
ჩელსი : ბირმინგემი
ლივერპული : ვესტ ბრომვიჩი
მანჩესტერი : ბოლტონი
მიდლსბრო : სიტი
პორტსმუთი : ფულემი
სანდერლენდი : ევერტონი
ტოტენჰემი : ნიუკასლი
უიგანი : ბლეკბერნი

2006 წელი

21-ე ტური: 2 იანვარი
არსენალი : მანჩესტერი
ბირმინგემი : უიგანი
ბლეკბერნი : პორტსმუთი
ბოლტონი : ლივერპული
ევერტონი : ჩარლტონი
ფულემი : სანდერლენდი
სიტი : ტოტენჰემი
ნიუკასლი : მიდლსბრო
ვესტ ბრომვიჩი : ასტონ ვილა
ვესტ ჰემი : ჩელსი

22-ე ტური: 14 იანვარი
არსენალი : მიდლსბრო
ასტონ ვილა : ვესტ ჰემი
ბლეკბერნი : ბოლტონი
ჩარლტონი : ბირმინგემი
ფულემი : ნიუკასლი
ლივერპული : ტოტენჰემი
სიტი : მანჩესტერი
პორტსმუთი : ევერტონი
სანდერლენდი : ჩელსი
უიგანი : ვესტ ბრომვიჩი

23-ე ტური: 21 იანვარი
ბირმინგემი : პორტსმუთი
ბოლტონი : სიტი
ჩელსი : ჩარლტონი
ევერტონი : არსენალი
მანჩესტერი : ლივერპული
მიდლსბრო : უიგანი
ნიუკასლი : ბლეკბერნი
ტოტენჰემი : ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი : სანდერლენდი
ვესტ ჰემი : ფულემი

24-ე ტური: 31 იანვარი
არსენალი : ვესტ ჰემი
ჩარლტონი : ვესტ ბრომვიჩი
ლივერპული : ბირმინგემი
პორტსმუთი : ბოლტონი
სანდერლენდი : მიდლსბრო
უიგანი : ევერტონი
ასტონ ვილა : ჩელსი
ბლეკბერნი : მანჩესტერი
ფულემი : ტოტენჰემი
სიტი : ნიუკასლი

25-ე ტური: 4 თებერვალი
ბირმინგემი : არსენალი
ბოლტონი : უიგანი
ჩელსი : ლივერპული
ევერტონი : სიტი
მანჩესტერი : ფულემი
მიდლსბრო : ასტონ ვილა
ნიუკასლი : პორტსმუთი
ტოტენჰემი : ჩარლტონი
ვესტ ბრომვიჩი : ბლეკბერნი
ვესტ ჰემი : სანდერლენდი

26-ე ტური: 11 თებერვალი
არსენალი : ბოლტონი
ასტონ ვილა : ნიუკასლი
ევერტონი : ბლეკბერნი
ფულემი : ვესტ ბრომვიჩი
სიტი : ჩარლტონი
მიდლსბრო : ჩელსი
პორტსმუთი : მანჩესტერი
სანდერლენდი : ტოტენჰემი
ვესტ ჰემი : ბირმინგემი
უიგანი : ლივერპული

27-ე ტური: 25 თებერვალი
ბირმინგემი : სანდერლენდი
ბლეკბერნი : არსენალი
ბოლტონი : ფულემი
ჩარლტონი : ასტონ ვილა
ჩელსი : პორტსმუთი
ლივერპული : სიტი
მანჩესტერი : ვესტ ჰემი
ნიუკასლი : ევერტონი
ტოტენჰემი : უიგანი
ვესტ ბრომვიჩი : მიდლსბრო

28-ე ტური: 4 მარტი
ასტონ ვილა : პორტსმუთი
ფულემი : არსენალი
ლივერპული : ჩარლტონი
სიტი : სანდერლენდი
მიდლსბრო : ბირმინგემი
ნიუკასლი : ბოლტონი
ტოტენჰემი : ბლეკბერნი
ვესტ ბრომვიჩი : ჩელსი
ვესტ ჰემი : ევერტონი
უიგანი : მანჩესტერი

29-ე ტური: 11 მარტი
არსენალი : ლივერპული
ბირმინგემი : ვესტ ბრომვიჩი
ბლეკბერნი : ასტონ ვილა
ბოლტონი : ვესტ ჰემი
ჩარლტონი : მიდლსბრო
ჩელსი : ტოტენჰემი
ევერტონი : ფულემი
მანჩესტერი : ნიუკასლი
პორტსმუთი : სიტი
სანდერლენდი : უიგანი

30-ე ტური: 18 მარტი
არსენალი : ჩარლტონი
ბირმინგემი : ტოტენჰემი
ბლეკბერნი : მიდლსბრო
ბოლტონი : სანდერლენდი
ევერტონი : ასტონ ვილა
ფულემი : ჩელსი
სიტი : უიგანი
ნიუკასლი : ლივერპული
ვესტ ბრომვიჩი : მანჩესტერი
ვესტ ჰემი : პორტსმუთი

31-ე ტური: 25 მარტი
ასტონ ვილა : ფულემი
ჩარლტონი : ნიუკასლი
ჩელსი : სიტი
ლივერპული : ევერტონი
მანჩესტერი : ბირმინგემი
მიდლსბრო : ბოლტონი
პორტსმუთი : არსენალი
სანდერლენდი : ბლეკბერნი
ტოტენჰემი : ვესტ ბრომვიჩი
უიგანი : ვესტ ჰემი

32-ე ტური: 1 აპრილი
არსენალი : ასტონ ვილა
ბირმინგემი : ჩელსი
ბლეკბერნი : უიგანი
ბოლტონი : მანჩესტერი
ევერტონი : სანდერლენდი
ფულემი : პორტსმუთი
სიტი : მიდლსბრო
ნიუკასლი : ტოტენჰემი
ვესტ ბრომვიჩი : ლივერპული
ვესტ ჰემი : ჩარლტონი

33-ე ტური: 8 აპრილი
ასტონ ვილა : ვესტ ბრომვიჩი
ჩარლტონი : ევერტონი
ჩელსი : ვესტ ჰემი
ლივერპული : ბოლტონი
მანჩესტერი : არსენალი
მიდლსბრო : ნიუკასლი
პორტსმუთი : ბლეკბერნი
სანდერლენდი : ფულემი
ტოტენჰემი : სიტი
უიგანი : ბირმინგემი

34-ე ტური: 15 აპრილი
არსენალი : ვესტ ბრომვიჩი
ასტონ ვილა : ბირმინგემი
ბლეკბერნი : ლივერპული
ბოლტონი : ჩელსი
ევერტონი : ტოტენჰემი
ფულემი : ჩარლტონი
მანჩესტერი : სანდერლენდი
ნიუკასლი : უიგანი
პორტსმუთი : მიდლსბრო
ვესტ ჰემი : სიტი

35-ე ტური: 17 აპრილი
ბირმინგემი : ბლეკბერნი
ჩარლტონი : პორტსმუთი
ჩელსი : ევერტონი
ლივერპული : ფულემი
სიტი : არსენალი
მიდლსბრო : ვესტ ჰემი
სანდერლენდი : ნიუკასლი
ტოტენჰემი : მანჩესტერი
ვესტ ბრომვიჩი : ბოლტონი
უიგანი : ასტონ ვილა

36-ე ტური: 22 აპრილი
არსენალი : ტოტენჰემი
ასტონ ვილა : სიტი
ბლეკბერნი : ჩელსი
ბოლტონი : ჩარლტონი
ევერტონი : ბირმინგემი
ფულემი : უიგანი
მანჩესტერი : მიდლსბრო
ნიუკასლი : ვესტ ბრომვიჩი
პორტსმუთი : სანდერლენდი
ვესტ ჰემი : ლივერპული

37-ე ტური: 29 აპრილი
ბირმინგემი : ნიუკასლი
ჩარლტონი : ბლეკბერნი
ჩელსი : მანჩესტერი
ლივერპული : ასტონ ვილა
სიტი : ფულემი
მიდლსბრო : ევერტონი
სანდერლენდი : არსენალი
ტოტენჰემი : ბოლტონი
ვესტ ბრომვიჩი : ვესტ ჰემი
უიგანი : პორტსმუთი

38-ე ტური: 7 მაისი
არსენალი : უიგანი
ასტონ ვილა : სანდერლენდი
ბლეკბერნი : სიტი
ბოლტონი : ბირმინგემი
ევერტონი : ვესტ ბრომვიჩი
ფულემი : მიდლსბრო
მანჩესტერი : ჩარლტონი
ნიუკასლი : ჩელსი
პორტსმუთი : ლივერპული
ვესტ ჰემი : ტოტენჰემი

სარგებელი კროკ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია B						
		25 ივნისი						
22:30	1	ვიჩენცა-ტრიესტინა	1.80	3.00	4.30	1.12	1.26	1.76
		რუსეთი						
		25 ივნისი						
15:00	4	ალანია-ტერეკი	1.90	3.10	3.80	1.17	1.26	1.70
15:00	5	მოსკოვი-ტორპედო	2.25	3.00	2.90	1.28	1.26	1.47
15:00	6	როსტოვი-ცსკა	5.00	3.40	1.60	2.02	1.21	1.08
15:00	8	სპარტაკი-შინიკი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
		26 ივნისი						
15:00	7	რუბინი-ზენიტი	2.55	2.90	2.75	1.35	1.32	1.41
15:00	9	ამკარი-კრილია	2.55	2.90	2.65	1.35	1.29	1.38
15:00	10	დინამო-ტომსკი	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
15:00	11	სატურნი-ლოკომოტივი	3.40	2.90	2.10	1.56	1.29	1.21
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		26 ივნისი						
20:00	12	ოდ გრენლანდი-ბრანი	3.30	3.50	1.95	1.69	1.22	1.25
20:00	13	ჰამარი-მოლდე	2.00	3.40	3.30	1.25	1.24	1.67
20:00	14	ლინი-ალესუნდი	1.60	3.70	5.00	1.11	1.21	2.12
20:00	15	სტარტი-ბოდიო გლიმტი	1.75	3.50	4.30	1.16	1.24	1.92
22:05	16	ლილესტრომ-ფრედრიკსტად	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
		27 ივნისი						
21:00	17	რუსენბორგი-ვოლერენგა	1.85	3.40	3.90	1.19	1.25	1.81
21:00	18	ვიკინგი-ტრომსიო	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		26 ივნისი						
17:00	21	სკეიდი-ალტა	1.70	3.80	4.00	1.17	1.19	1.94
20:00	22	ფოლო-სოვნდალი	3.00	3.70	1.95	1.65	1.18	1.27
20:00	23	ჰიოდი-ტონსბერგი	2.25	3.60	2.50	1.38	1.18	1.47
20:00	24	კონგსვინგერი-მოსი	2.30	3.50	2.50	1.38	1.19	1.45
20:00	25	ლოვ ჰამი-ჰიონეფოსი	3.00	3.60	1.95	1.63	1.18	1.26
20:00	26	მანდალი-სტრიომსგოდსეტი	2.30	3.40	2.55	1.37	1.20	1.45
20:00	27	პორს გრენლანდი-ბრინი	3.10	3.60	1.95	1.66	1.19	1.26
		შვედეთი. ალსვენსკა						
		26 ივნისი						
19:00	34	ასირისკა-ელფსბორგი	3.00	3.30	2.10	1.57	1.23	1.28
19:00	35	ჰამარბი-გეფლე	1.45	3.90	5.80	1.05	1.15	2.33
		27 ივნისი						
21:00	36	კალმარი-იორგრიტე	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
21:00	37	ლანდსკრონა-იურგორდენი	3.00	3.40	2.05	1.59	1.21	1.27
21:00	38	მალმიო-ჰეკენი	1.65	3.60	4.50	1.13	1.20	2.00
		ირლანდია						
		24 ივნისი						
22:30	62	უოტერფორდი-შელბურნი	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
22:45	63	კორკი-ლონგფორდი	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
22:45	65	შემროკი-ჰერპსი	1.75	3.30	3.90	1.14	1.20	1.78
22:45	66	სტ.პატრიკსი-დროგედა	2.40	2.90	2.75	1.31	1.28	1.41
22:45	67	დუბლინი-ბრეი	1.95	3.10	3.40	1.19	1.23	1.62
		აშშ						
		25 ივნისი						
23:45	72	ნიუ ინგლენდი-ნიუ იორკი	1.95	3.10	3.40	1.19	1.23	1.62
23:45	73	კანზასი-ჩიკასი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
23:45	74	კოლორადო-დალასი	2.75	3.10	2.25	1.45	1.23	1.30
23:45	75	სან ხოსე-ლოს ანჯელესი	2.20	3.10	2.80	1.28	1.23	1.47
		26 ივნისი						
23:45	76	ჩიკაგო-სოლტ ლეიკი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
		არგენტინა						
		24 ივნისი						
23:45	77	ბანფილდი-რასინგი	2.25	3.30	2.60	1.33	1.20	1.45
		მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოლანდიაში(20)						
		24 ივნისი						
19:30	173	იტალია(20)-მაროკო(20)	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
22:30	174	გერმანია(20)-ბრაზილია(20)	4.00	3.40	1.75	1.83	1.21	1.15
		25 ივნისი						
17:30	188	ჰოლანდია-სიერია	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.0
17:30	189	ესპანეთი-არგენტინა	2.30	3.10	2.80	1.32	1.26	1.47
		კონფედერაციის თასი						
		25 ივნისი						
20:00	185	გერმანია-ბრაზილია	2.90	3.10	2.30	1.49	1.28	1.32
		26 ივნისი						
20:00	186	არგენტინა-მექსიკა	1.70	3.30	4.60	1.12	1.24	1.92
		კალათბურთი. ესპანეთი						
		24 ივნისი						
22:00	187	რეალი-ტაუ	1.60	12.00	2.20	1.41	1.00	1.85
		ჩოგბურთი						
		უიმბლდონი კაცები						
		24 ივნისი						
15:00	577	ფედერერი-კიფერი	1.04					8.00
15:00	578	ფერერო-მაიერი	1.60					2.15
15:00	579	იოპანსონი ი-ვონსალესი	1.40					2.45

CROCO BOOKMAKERS კროკ

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:00	580	იუხი-ბიორკმანი			1.55			2.15
15:00	581	ჰიუიტი-ვიმელსტობი			1.05			6.00
15:00	582	დენტი-ბერდიხი			1.50			2.30
15:00	583	ანჩიჩი-მონფილსი			1.20			3.50
15:00	584	საფინი-ლოპესი ფ			1.25			3.40
		ჩოგბურთი						
		უიმბლდონი ქალები						
		24 ივნისი						
15:00	585	კლიისტერსი-ვინჩი			1.05			6.50
15:00	586	მორესმო-პერი			1.06			6.00
15:00	587	მისკინა-იანკოვიჩი			1.95			1.65
15:00	588	ლიხოვცევა-ფარინა			1.70			1.90
15:00	589	დემენტიევა-ვაშინგტონი			1.20			3.50
15:00	590	დევენპორტი-საფინა			1.10			5.00
15:00	591	კუზნეცოვა-ვაიდისოვა			1.20			3.60
15:00	592	მალეევა-სერა			1.30			3.00

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფრენბურთი.კაცები. მსოფლიო ლიგა						
		24 ივნისი						
18:00	175	კუბა-იტალია				1.80		1.80
19:00	176	ბულგარეთი-საფრანგეთი				1.50		2.25
19:00	177	პოლონეთი-სერბეთი				1.60		2.00
19:00	178	საბერძნეთი-არგენტინა				1.40		2.40
19:00	179	ვენესუელა-პორტუგალია				1.85		1.75
		25 ივნისი						
17:00	180	ბრაზილია-იაპონია				1.04		9.00
		ფრენბურთი.კაცები. ევროლიგა						
		24 ივნისი						
20:00	184	სლოვაკეთი-თურქეთი				1.85		1.70
		25 ივნისი						
18:00	181	რუსეთი-ფინეთი				1.05		6.00
18:00	182	ესტონეთი-გერმანია				2.10		1.50
18:00	183	ჩეხეთი-ესპანეთი				1.35		2.80

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16 — ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13
	ჭავჭავაძის № 67 — ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50
ოზურგეთი	გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16
წნორი	სტალინის ქუჩა №1
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7

ყველაზე სპორტული კაცი

ჟურნალისტებმა თქვეს,. მარკოზაო

გიორგი მარკოიშვილი თავისი ბრიზით „რონდოს“ გოგოებთან

განვლილ მე-14 ეროვნულ ჩემპიონატში არაერთი კალათბურთელი გამოირჩეოდა, მაგრამ გაზეთმა „სპორტმა“ განიზრახა, საუკეთესო გამოევლინა და ამაში ჟურნალისტები დაიხმარა.

მაშ ასე — საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გაზეთ „სპორტის“ და შესაბამისად ჟურნალისტთა ვერსიით გახდა „სტუ-ჯეოსელის“ ახალგაზრდა ფორვარდი, ამ გუნდის გაჩემპიონებაში ლომის წილის შემტანი გიორგი მარკოიშვილი.

გაზეთმა „სპორტმა“ კიდევ არაერთ ნომინაციაში გამოავლინა უძლიერესი, მაგრამ ამათგან ყველაზე პრესტიჟული, საუკეთესო მოთამაშის ნომინაცია გამოარჩია და გამარჯვებული გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ დაჯილდოვა.

ლონისძიებას ესწრებოდნენ სტუსა და თსუ-ს თავკაცები — ნუგზარ ჭეიშვილი და მამუკა ტურაშვილი, რომლებმაც მარკოიშვილს წარმატება მიულოცეს და მისი არაერთი დადებითი თვისება გამოარჩიეს.

მარკოიშვილს გაზეთ „სპორტის“ კალათბურთზე მწერალმა და ამ გამოკითხვის ორგანიზატორმა ჟურნალისტმა ვაჟა სიმონიშვილმა გადასცა კოხტა თასი, რომელიც საჩემპიონო თასზე ბევრად მომცროა, მაგრამ გიორგისთვის არანაკლები მნიშვნელობისა.

„დიდი მადლობა ჟურნალისტებს, რომელთა მხარდაჭერითაც ეს ჯილდო დავიმსახურე. ჩემთვის დიდი პატივია ეს აღიარება და ვეცდები, მომავალშიც გავამართლო გულშემატკივართა ნდობა“ — თქვა გიორგი მარკოიშვილმა, რომელმაც საუკეთესო კალათბურთელის თასის შემდეგ სასიამოვნო საჩუქარი მიიღო კეთილისმსურველი მეგობრისგან. დაჯილდოვებაზე საესტრადო ჯგუფ „რონდოს“ სამი წევრიც მოვიდა და ერთ-ერთმა, ნათია ჟორჟოლიანმა, მარკოიშვილს „რონდოს“ კომპაქტ-დისკი გადასცა.

შეგახსენებთ, ეს გახლდათ გაზეთ „სპორტის“ მესამე გამოკითხვა. შარშანწინ საქართველოს საუკეთესო მოთამაშე გიორგი ცინცაძე გახდა, შარშან კი დავით ბერძენიშვილმა არავის დაუთმო პირველობა.

ირაკლი პერტაია

გაფრი ჯაფარიძის ფოტო

არდადეგებმოვლილნი საქაიროდ იპრიგებიან

პირადი და საკლუბო ევროპირველობების მოლევის შემდეგ ქართველმა ძიუდოისტებმა კიმონოები გვერდზე გადადეს და დასასვენებლად მოიცალეს. საქართველოს ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელის რეკომენდაციით ძოწყობილი ოცდღიანი არდადეგები დღეს სრულდება. ხვალიდან კი ნაკრების ყველა წევრი და კანდიდატი დარბაზს მიუბრუნდება და სეზონის უმთავრესი ტურნირისთვის მოსამზადებელი ციკლიც დაიწყება.

ქაიროში ჩასატარებელ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორთვენახევარი რჩება, მაგრამ ქართული გუნდი საბოლოოდ ჯერ არ დაკომპლექტებულა.

ეგვიპტის საგზურები განაღდებული მხოლოდ წესტორ ხერგიანს (60 კგ), დავით ქევხიშვილსა (73 კგ) და ზურაბ ზვიადაურს (90 კგ) აქვთ, დანარჩენ ოთხ წ[illegible] საუკეთესოები მოსამზადებ[illegible] ლ ციკლში, ქალაქგარეთული [illegible]ბისას უნდა გამოიკვლიოთ

„66, 81, 100 და +100 კილ[illegible] წონით კატეგორიებში [illegible]ბით გარკვეული არ [illegible] თხრა გუშინ ხაბარელმა [illegible] ხულის ბოლომდე ხაბა[illegible] ჩატარებას ვგეგმავთ და [illegible] დში ყველა კანდიდატს [illegible] დებით. ქაიროში ისინი [illegible] ბენ, რომლებიც შიდა კონკურ[illegible] ციაში თავს ყველაზე უკეთ [illegible] მოაჩენენ“

გუშინვე შევიტყვეთ, [illegible] ველი შეკრება 1 ივლისიდან [illegible] რიანში დაიწყება და ძირითადად ფიზმომზადებას დაეთმობა, [illegible] და მესამე შეკრებებს კი [illegible] უმასპინძლებს.

ოთარ მაღლაკელიძე

ბერეკაშვილი ევროპელია

საქართველოს ორი საერთაშორისო კლასის არბიტრი ჰყავს

ბაჩანა ფოფალაძის ფოტო

დავით ბერეკაშვილი და ზაზა მაჩალაძე

აქამდე საქართველოს მხოლოდ ერთი მოქმედი საერთაშორისო კლასის არბიტრი ჰყავდა, ზაზა მაჩალაძე, რომელსაც ახლახან დავით ბერეკაშვილიც შეემატა. ზაზა და დავითი კარგი მეგობრები არიან. ქუთაისის გუნდში ერთად თამაშობდნენ და ახლა მოედანზეც ერთად არიან. სადაც მაჩალაძე წავიდა, ბერეკაშვილიც თან წაიყვანა, მაგრამ თუ ქართულ მოედნებზე მსაჯობა იოლია, ევროპულ არბიტრებში რომ გაერიო, გვარიანი მონდომებაა საჭირო. ბერეკაშვილმა მაისის დასასრულს ანთალიაში გამართულ ყველა სამსაჯო გამოცდას გაუძლო, დასაწერი დაწერა, დასასტვენი დაუსტვინა და ახლახან დადებითი პასუხიც მიიღო — მას საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა

— დავით, გილოცავ, ალბათ ძალიან გახარებული ხარ...

— რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, ეს დიდი რამაა ჩემთვის. ამ წარმატებას ვერ მივაღწევდი, რომ არა ჩემს გვერდზე მდგომი ხალხი. მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემს სამსაჯო მასწავლებლებს — როლანდ ხომერიკს, მურმან ქურიძეს და სხვებს.

— ისინი ანთალიაში ხომ არ გახლდნენ?

— არა, ისინი თბილისში იყვნენ, მაგრამ მთელი გულით მქომაგობდნენ. სხვათა შორის, ანთალიაში ჩემი გამგზავრების ხარჯები მთლიანად საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ გაიღო, რისთვისაც ასევე მადლობას ვუხდი მის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს.

— გაგიჭირდა საერთაშორისო რანგის მოპოვება?

— ვერ ვიტყვი, რომ ძნელი იყო, მაგრამ ადვილიც არ ეთქმის. 36 განაცხადი იყო და 20-მა მიიღო ლიცენზია. გამოცდები გვქონდა ფიზმომზადებაში, ინგლისურსა და მსაჯობის თეორიაში. ყველაფერი ტესტირებით ჩავაბარე და, როგორც აღმოჩნდა, წარმატებით. ახლახან ფიბა-დან შეტყობინება მომივიდა, რომ საერთაშორისო კლასის არბიტრი ვარ და იელისიდან უკვე საქმეს შეეუდგები.

— შენი ევროინთლობა სად შედგება?

— ბულგარეთში, ახალგაზრდულ ჩემპიონატში. მოგეხსენებათ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც მიიღებს ამ ტურნირში მონაწილეობას და მეც მათთან ერთად წავალ. ბულგარეთში ასევე კადეტთა ტურნირიცაა, სადაც ზაზა მაჩალაძე იმსაჯებს.

— შენ და ზაზას ევროტურნირების მატჩების მსაჯობაც მოგიწევთ და საქართველოს ჩემპიონატი ხომ არ დაზარალდება ამით?

— მე და ზაზას კი მოგვიწევს მივლინებებში სიარული, მაგრამ არა მგონია, აქ რამე პრობლემა შეიქმნას. ახალგაზრდა მსაჯთა რაოდენობა იზრდება — დავით და ირაკლი ბერიშვილები, დავით არეშიძე, ქუთაისელი კახა დარახველიძე. ასე რომ, საქართველოს ჩემპიონატს არბიტრები არ მოაკლდება.

ირაკლი პერტაია

დიანამ თავისი უკვე გაცურა

ცურვაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რუმინელმა დიანა მოკანუმ განაცხადა, რომ ემშვიდობება დიდ სპორტს. ამის მიზეზი 21 წლის სპორტსმენის შერყეული ჯანმრთელობა გახდა.

„დიდხანს ვიფიქრე, სანამ ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებდი, მაგრამ თუ ცურვა ძველებურად აღარ განიჭებს სიამოვნებას, მაშინ ვარჯიში უაზრობაა და აუზს უნდა გამოეთხოვო“ — თქვა მოკანუმ.

დიანა მოკანუმ ისიც თქვა, ქალაქ ბრაილეს კლუბში მწვრთნელად ვიმუშავებო.

შეგახსენებთ, რომ დიანა მოკანუ 2000 წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე უძლიერესი იყო 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში

უიმბლდონი 2005

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 10 085 510 გირვანქა სტერლინგი

ფასკუნჯს ბალახკორტი არ დააკორტნინეს



რაფაელ ნადალი

მეორე წრე

კაცები

ჟილ მიულერი (ლუქსებურგი) — რაფაელ ნადალი (4, ესპანეთი) 6:4 4:6 6:3 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — ტიმ ჰენმანი (6, ბრიტანეთი) 3:6 6:2 3:6 6:3 8:6; **რიშარ გასკე** (27, საფრანგეთი) — ჟილ ელსენეერი (ბელგია) 7:6 (9:7) 7:6 (7:3) 6:7 (3:7) 6:2

ქალები

მაშა შარაპოვა (2, რუსეთი) — სესილ კარატანჩევა (ბულგარეთი) 6:0 6:1; **სერენა უილიამსი** (4, აშშ) — მარა სანტანჯელო (იტალია) 2:6 6:3 6:2; **ნადია პეტროვა** (8, რუსეთი) — სევერინ ბელტრამი (საფრანგეთი) 6:1 6:2; **ვინუს უილიამსი** (14, აშშ) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 7:5 6:3; **კვეტა პეშკე** (ჩეხეთი) — ვერა ზვონარიოვა (11, რუსეთი) 1:6 6:4 6:3

რაფაელ ნადალის იმედები, ბიორნ ბორგის (1980) მერე გამხდარიყო პირველი კაცმეჩოგნე, ვინაც ერთ სეზონში მიჯრით შეძლო როლანგაროსობისა და უიმბლდონის მოგება, გუშინ 22 წლის უსახელო ლუქსემბურგელის ჟილ მიულერის ჩოგანმა იმსხვერპლა.

ეს მიულერი კორტის დონიდან მეტრსა და 95 სანტიმეტრს აითვლის და თავის დროზე უიმბლდონის იუნიორთა შეჯიბრზეც ჩემპიონია. თუმცა მას შემდეგ აღარაფრით გამორჩეულა და ტიტულს ვინ ჩივის, კარიერაში სულ 60-მდე მატჩი დაგროვებია და აქედანაც უფრო მეტში ძლეულა.

ენერგიით გაჯირჯვული მალიორკელი ფასკუნჯი კი ვინს სპადიასთან მოგებულ საპირველწრეო შეხვედრაში ირგვლივ ჯანის სიმრთელესა და ამოუწყავ ხორციელ თუ ფსიქოილაჯს ასხივებდა და საქმეში ჩახედულ ხალხს გარდასულ დროთა ლეგენდების, უწინარესად კი იმავ ბორგის, ყმაწვილკაცობა მოაგონა.

მაგრამ უფრო მართლები ისინი იყვნენ — და აკი თავად ნადალიც ხშირ-ხშირად ამასვე ამბობდა — რომ ჯიშად მეთიხნარე ყმაწვილს, რომელმაც წლეულს თავის სათულფე საფარზე ექვსი ტიტული მოიმკა, ბალახთან გასაჩვევად კიდევ დიდი დრო დასჭირდებოდა და რომ (ყოველ შემთხვევაში) წლევანდელ უიმბლდონობაზე მაინც მისგან არც არაფერს უნდა გამოვრჩენოდით.

და ასეც მოხდა — ჟილ მიულერმა, ვინაც რაფასთან წინა შეხლაში, წლეულს ბარსელონურ თიხნარზე რომ ვიხილეთ, 0:6 2:6 წაასხა, ამქრის მესამეადგილოსანზე დამაჯერებლად ირევანშა და ახლა ნადალისკბილა ფრანგ რიშარ გასკეს დაეჯახება. არადა, ავაჰმე, რარიგ ველოდით მესამე წრეში გასკესა და რაფას მორიგ დაელურს, რაიც უიმბლდონზე ჭაბუკოსნობის ზეიმად გვეგულვოდა...

სხვაფრივ — შარშანდელი უიმბლდონობის პირველი წრიდან თვისტომ მარატ საფინის მაოტარმა დმიტრი ტურსუნოვმა გუშინ მალე გასაოცდათერთმეტწლისებელი ტიმ ჰენმანი აოტა და ამით, ვგონებ, საბოლოოდ დაუსვა მსუყე წერტილი კუნძულელთა ჰენმანიას. დარბაისელმა ინგლიშმენმა, ვისაც მშობლიურ მუზარადტურნირის ოთხ ნახევარფინალში ეთამაშა და 1996 წლიდან აქ სულ მცირე მეოთხე წრემდე მაინც სრბოდა, ზედიზედ მეორე ხუთსეტიან განდაგანას ვეღარ გაუძლო და ჩოგანი ნაადრევად დააშალითა.

ანა-ლინა გრიონეფელდი და მარტინა ნავრატილოვა

მარტინას უკვდავება

ერთი ჩვენი დასავლელი კოლეგისა არ იყოს, იმაზე ფიქრი, თუ როდის ჩამოკიდებს მარტინა ნავრატილოვა დედაბოძზე თავის სვიანად ნაქნევ ჩოგანს — ჩამოკიდებს ერთხელ და სამუდამოდ — ლამის უკვე იმაზე მარჩიელობას დაემსგავსა, ოდესმე გათენდება თუ არა უმზეო დილა. ანუ — ამ მოვლენასავით წარმოუდგენელია.

უიმბლდონის კენტად ცხრაჯერ მომგები ჩეხოამერიკელი თავის უსაყვარლეს ტურნირს წლეულსაც სტუმრობს და იმ დღეს 20 წლის გერმანელ ანალინა გრიონეფელდთან ერთად ქალთა საწყვილოსნო შეჯიბრის პირველ წრეში იაპონელთა — რიკა ფუხივარასა და საორი ობატას ჯუფთი შემუსრა 6:3 6:3. პარალელურად ის თვისტომ მაიკ ბრაიანთან ერთად შერეულ წყვილებშიც გამოვა და უკეთუ ორსავე კალაპოტში იპირველებს, საუიმბლდონო ტიტულთა რაოდენობას 22-მდე, ხოლო საწყვილოსნო ტიტულთა მარაგს 175-მდე გაზრდის. და, ეს ამბავი არც არავის გაუკვირდება, რაკიღა ახლახანს გასრულებულ როლანგაროსობაზე მან ინდოელ ლეანდერ პაესთან ერთად შერეულ წყვილთა ფინალს უწია (სადაც სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვასა და ფრანგი ფაბრის სანტოროს წყვილთან დათმო).

მარტინა ახლა 48 წლის დეიდულია. შეგახსენებთ, რომ 2003 წელს, როცა იმავე პაესთან ერთად სეფებალახზე შერეულ წყვილთა შორის იპირველა, უიმბლდონის უხუცესი ჩემპიონი გახდა. საერთოდ კი მას ერთეულად 167 ტურნირზე უმარჯვია, რაიც ისტორიაში არაკაცსა და არაქალს არ მოჰხერხებია, ხოლო ამ 167-დან 18 დიდი მუზარადის ტურნირებზე მოუნაგრავს. ამ თვალსაზრისით მას მხოლოდ შტეფი გრაფი და დიადი ავსტრალიელი მარგარეტ კორტი უსწრებენ.

მაიკ ბრაიანისთვის ეს სტატისტიკა, ცხადია, საარაკოა, თუმცა ის ოთხსავე საფარზე 25 საწყვილო ტიტულს მაინც დაიკვეხს და აქედან რამდენიმე დიდი მუზარადის ტურნირებზეც უშოვნია.

აი, ნორჩ ანა-ლინას კი ნიჭის, პერსპექტივისა და კოხტა სხეულის გარდა მხოლოდ პატაიაში მარიონ ბარტოლისთან ერთად მოხვეჭილი სიაფანდი ჯილდო აბადია. მას ჯერ ბოლომდე ისიც არ ექნება გააზრებული, თუ რას ნიშნავს ამოტოლა ლეგენდასთან ერთად გარჯა.

ამიტომაც, მოდით, ამის თაობაზე ჩვენც უწინარეს ლეანდერ პაესს დავეკითხოთ:

„ეს უბრალოდ ჯადოსნობაა — გვპასუხობს ის — მარტინასთან ერთად თამაში ოცნების ასრულებასავითაა. ის არა მხოლოდ კლასიკური ნიმუშია იმისა, თუ როგორი უნდა ან შეუძლია იყოს ათლეტს. იმავდროულად ის ამას დღემდე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სინატიფითა და დახვეწილობით აკეთებს. მან მე კორტზეც და მის გარეც უამრავი რამ მასწავლა. სწორედ იმ მეგობრობისა და ურთიერთგაგების გამო, რაიც მასსა და ჩემს შორის არსებობს, მასთან ერთად თამაშს ჯადოსნობასა და ზღაპარს ვეძახი."

თავად მარტინა კი ასე ლაპარაკობს:

„ნოსტალგია არაფრის მიმართ არა მაქვს. მე ხომ გაცილებით მეტი ვითამაშე, ვიდრე ეს წარმომედგინა. სწორედ ამის გამო ემოციათა მოზღვავებას აღარ ვგრძნობ ხოლმე. ჩემთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია — მე უიმბლდონზეც ვთამაშობ, ამერიკაშიც და ყველგან, თანაც, სადაც არ უნდა ვიყო, ბოლომდე ვიხარჯები... ყოველთვის, როცა მეკითხებიან, ეს თქვენი ბოლო დიდი ტურნირი ხომ არ არისო, მე ვპასუხობ, არ ვიცი-მეთქი. ისე კი, მელოდეთ, მე ისევ დავბრუნდები — ან ასე, ანაც ისე."

მარატის შესახებ

მარატ საფინი ეგებ ბალახის დიდი მოყვარული არ გახლდეთ, მაგრამ ამ საფარზე წარმატებულთაგან ერთი უდახვეწილესი კაცის აზრით წლეულს ძალიან მაგრად გამოიყურება. ეს კაცი ლეგენდარული ამერიკელი ჯონ მაკინროია, ვინაც საფინის მიერ მარკ ფილიპუსისის 7:6 7:6 6:4 დამარცხების შემდეგ რუსს გულწრფელი ხოტბა აღუვლინა:

„როცა ის გაწონასწორებულია და ახერხებს თავისი პოტენციალის სრულად გამოვლენას, მაშინ სულ ერთია, რომელ საფარზე თამაშობს, მაინც ძალიან შთამბეჭდავია. ჩვენ ყველამ ვნახეთ, როგორ აჯობა მან როჯერ ფედერერს წლევანდელი ავსტრალიობის ნახევარფინალში. როცა აქაური საპირველწრეო მატჩის შემდეგ მან თქვა, ასე კარგად იმის მერე აღარ მითამაშიაო, მე მისი ეს აზრი გავიზიარე, რადგანაც მართლაც არ მახსოვს, ბალახზე ასე ბარაქიანად ებურთაოს."

„საფინს ამქარში ალბათ საუკეთესო ხელუკულმა აქვს. ის საოცრად ათლეტური და ღონიერია და

კორტზეც საუცხოოდ გადაადგილდება. მართალია, ფილიპუსისის წინააღმდეგ ბევრი საბრეიკპოინტო შანსი არ მისცემია — ეს მხოლოდ მესამე სეტში მოხდა — მაგრამ როგორც კი შანსი მიეცა, მყისვე გამოიყენა."

„თუკი ბალახი ბურთს ბოლომდე ასე მსწრაფლ აისხლეტს, მას აქ ყველას დამარცხება შეუძლია. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ წილისყრით მას ლამის ყველაზე მურტალი გზა აქვს გასავლელი. მომდევნო, მესამე წრეშივე უკვე უხერხული მეტოქე ელის — ფელისიანო ლოპესი, ცაცია, აგრესიული და უნარიანი ბიჭი."

„გარდა ამისა, მას მუხლის პრობლემაც ემუქრება. არ არის გამორიცხული, ტიტულის მოხვეჭაში ჩოგანი ამანაც შეუშალოს, ეგ მით უფრო, რომ ბალახზე ასეთი სახის ტრავმები განსაკუთრებით სახიფათოა. თუმცა მას ძალიან ძლიერი ნებისყოფა აქვს და საერთოდაც, კარგი ტიპია, ჭკვიანი, ხუთ ენაზე მოსაუბრე, ჰალალი და რამე. მას თუ იცნობ, უეჭველად მოგწონს კიდეც."

უიმბლდონის სამგზის ჩემპიონის აზრს საფინის სახიფათოობის შესახებ იზიარებს ორგზის ტიტულდამცველი როჯერ ფედერერიც. ის ფიქრობს, რომ თუკი ვინმეს შეუძლია, მას ზედიზედ მესამე უიმბლდონურ ტიტულს შეეცილოს, ეს სწორედ რუსი ხვადაგია. ოღონდ ფედერერის ვარაუდით, რიგიანი ბალახობა საფინს არა ნატკენი მუხლის მიუხედავად, არამედ ამის გამო გამოსდის:

„ის ახლა ძალიან რელაქსირებულია, ეს უკვე ჰალეშივე შევამჩნიე. ჩემი აზრით, ამის მიზეზი მუხლის ტრავმა უნდა იყოს — მარატი შინაგანად მშვიდადაა, რადგანაც იცის, რომ ასეთი მუხლით თავის თავს ბევრი არაფერი უნდა მოთხოვოს და ამდენად, არც არაფერი აქვს დასაკარგი. ხოლო როცა ასე მოშვებული და დაუძაბავი ხარ, ყველაფერი თავისით, თამაშთამაშ გამოგდის."

თავად საფინი კი ფედერერის ამ აზრს არ ეთანხმება და ამბობს, რომ მან წლეულს უბრალოდ ბალახზე თამაშის ფორმულას მიაგნო.

ვნახოთ, თუკი როჯერმა და მარატმა ასე რიგიანად ბურთაობა უახლოეს წრეებშიც განაგრძეს, ისინი ერთმანეთს ნახევარფინალში შეეხლებიან. ეს მათი მეათე მატჩი იქნება. აქამომდელი ცხრიდან შვიდი შვეიცარიელმა მოიგო. წლეულს კი მათ ორჯერ ითამაშეს და როჯერმა მარატს ავსტრალიობის ნახევარფინალი რომ დაუთმო, ორი კვირის წინ მასზე ჰალეობის ფინალში ირევანშა.

თხა თხაზე ნაკლები...

ზურანდა ზურასაშვილი
მოსკოვიდან საგანგებოდ სარბიელისთვის

მოსკოვის ოლქებში მიმდინარე ახალგაზრდულ საერთაშორისო სპორტულ თამაშებზე ჩვენი სამბისტებისა და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა შთამბეჭდავი მონაგარის მერე ალბათ ძიუდოისტებმაც იფიქრეს, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო და თავადაც წარმატებით დაიწყეს ბრძოლები.

გუშინ ძიუდოისტებმა დმიტროვოში სამბისტებისგან ჩაიბარეს სარბიელი. ქართველთაგან უკვე მოილიეს ბრძოლები ლაშა ტვილდიანმა (55კგ), დავით ასუმბანმა (60) და ნინო ბიჩინაშვილმა (48). მათგან ჯერ ნინო ბიჩინაშვილი გავიდა ტატამზე და მეხუთე ადგილი დაიკავა, მერე ლაშა ტვილდიანმა ჩემპიონობა იზეიმა, ბოლოს კი დავით ასუმბანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა...

სამწუხაროდ, ჩვენმა კალათბურთელმა ვაჟებმა რუსეთის ნაკრებთან დამარცხების მერე უკრაინელებთანაც 10 ქულით წაგება იწვნიეს. ახლა ისინი ორი მოგებითა და ამდენივე წაგებით ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლის შანსს მაინც ინარჩუნებენ.

ასეა თუ ისე, ამ სპორტულ თამაშებზე, რომელშიც დსთ-ს ქვეყნების, ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა, ჩინეთისა და სინგაპურის ოთხი ათასზე მეტი სპორტსმენი გამოდის, საქართველოს წარმომადგენლები საერთო გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილზე არიან. ჩვენს გუნდს, რომელსაც ჯერჯერობით ხუთ-ხუთი ოქროს, ვერცხლის და ექვსიც ბრინჯაოს მედალი აქვს, უსწრებენ მხოლოდ რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსიის წარმომადგენლები.

ჭადრაკი

ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 17 ივნისი - 3 ივლისი

V ტური

ლევან ფანცულაია (საქართველო)	0,5:0,5	დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი)
ბადურ ჯაბავა (საქართველო)	1:0	მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)
სერგეი მოვსესიანი (სლოვაკეთი)	1:0	მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო)
ზდენკო კოჟული (ხორვატია)	1:0	მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო)
ზვიად იზორია (საქართველო)	1:0	ლუიშ გალეგო (პორტუგალია)
ამირ ბაგერი (საფრანგეთი)	0:1	ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო)
იაკუპ ერთურანი (თურქეთი)	0,5:0,5	დავით მაღალაშვილი (საქართველო)

ჯობავამ კარლსენი დაჯაბნა



ბადურ ჯობავა

15 წლის უკრაინელმა ვუნდერკინდმა სერგეი კარიაკინმა თეთრი ფიგურებით აზერბაიჯანელ ყმაწვილ თეიმურაზ რაჯაბოვს მოუგო და სამ მოჭადრაკესთან ერთად 4,5 ქულით ცხრილის თავში მოექცა.

ქართველთაგან ყველაზე უკეთ ლევან ფანცულაია და ბადურ ჯობავა ასპარეზობენ. მათ 3,5-3,5 ქულა აქვთ და საუკეთესოებში მოხვედრის შანსს კვლავაც ინარჩუნებენ.

ჯობავამ ნორვეგიელ მაგნუს კარლსენთან შეხვედრისას დებიუტში მხედრები გამოიყვანა, ცენტრისთვის ბრძოლას შეუდგა და მე-14 სვლაზე გრძელი როქი გააკეთა. ხელმწიფე საიმედო ადგილას რომ იგულა, ქართველი იერიშებს უფრო თამამად შეუდგა, მომდევნო სვლაზე მან მარჯვენა ფლანგიდან პაიკი დაძრა წინ, მეტოქეს ფიგურათა წყობა აურია და მე-18 სვლაზე ლაზიერით h8-ე უჯრაზე მდგარი ეტლი მოკლა. საპასუხოდ კარლსენმა ლაზიერი გამოიყვანა ცენტრში და თეთრ ხელმწიფეს დაემუქრა. ქართველი მეფე კუთხისკენ წავიდა, რის გამოც თეთრი ლაშქარი აირია და შავებიც მათ უმოწყალოდ რბევას შეუდგნენ. კარლსენმა ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ფიგურა მოუკლა ჯობავას, თუმც მალე თეთრებს მეტოქის ტერიტორიაზე მყოფი ლაზიერი დაუბრუნდათ და მტერს კუდით ქვა ასროლინეს. 27-ე სვლაზე ჯობავამ შავი ხელმწიფე ამოიღო მიზანში, 12 სვლა გასაქანი არ მისცა და ფარ-ხმალი დააყრევინა.

მძიმედ დაიწყო ფანცულაიასა და რუს დმიტრი იაკოვენკოს პარტია. მეტოქეები თავიდანვე საკუთარ ტერიტორიაზე ჩაიკეტნენ და პირველი იერიში მე-17 სვლაზე განახორციელეს. სისხლი დაინახეს თუ არა, ფიგურები უფრო ამოძრავდნენ, მანევრებში კი ქართველმა უკეთესი ტაქტიკური სვლები გააკეთა და ხარისხით დაწინაურდა. 28-ე სვლაზე ფანცულაიამ ლაზიერით შეუტია შავებს, მარცხენა ფლანგი მოუშალა და უპირატესობა განიმტკიცა. ამის შემდეგ ჩვენებურს თითქოს აღარ უნდა გასჭირვებოდა მოგება, თუმც ერთ მომენტში დასანანი შეცდომა დაუშვა და 43-ე სვლაზე მეტოქეს ქულა გაუყო.

ლაშა ბებეშძორი

ხურციძის ეტლი წინ წავიდა

ევროპის ქალთა ჩემპიონატი

კიშინიოვი. მოლდოვა. 10 - 25 ივნისი

XI ტური

სილვია კოლლასი (საფრანგეთი)	1:0	ქეთევან არახამია — გრანტი (საქართველო)
მაკა ფურცელაძე (საქართველო)	0,5:0,5	ლილიტ მკრტჩიანი (სომხეთი)
ლელა ჯავახიშვილი (საქართველო)	0:1	ტატიანა კონონენკო (უკრაინა)
ნინო ხურციძე (საქართველო)	1:0	ეკატერინე კორბუტი (რუსეთი)
მარი სებაგი (საფრანგეთი)	0,5:0,5	მაია ლომინეიშვილი (საქართველო)
ანნა რუდოლფი (უნგრეთი)	0,5:0,5	ანა მათნაძე (საქართველო)
ევგენია ოვოდი (რუსეთი)	1:0	თამარ წერეთელი (საქართველო)
ფირუზ ველიხანლი (აზერბაიჯანი)	0:1	ნანა ძაგნიძე (საქართველო)
სოფიო გვეტაძე (საქართველო)	0:1	ნატაშა ბოჯკოვიჩი (სერბია-ჩერნოგორია)

ბოლოსწინა ტურში კიდევ უფრო გაირთულეს მდგომარეობა ქართველმა მოჭადრაკეებმა. მათგან ყველაზე საუკეთესოდ მოთამაშე ქეთევან არახამია — გრანტმა ფრანგ სილვია კოლლასთან შავი ფიგურებით წააგო და მე-16 ადგილზე ჩამოქვეითდა. ჩვენებურთაგან ყველაზე კარგი შედეგი საქართველოს მოქმედ ჩემპიონ ნინო ხურციძეს აქვს. მან ზედიზედ ორი მატჩი მოიგო და 7,5 ქულით მე-7 ადგილზე აღზევდა.

ხურციძე რუს ეკატერინე კორბუტთან თამაშს ლაზიერის გამბიტით შეუდგა, დასაწყისშივე ცენტრში გაბატონდა და მერვე სვლაზე როქი გააკეთა. ნინომ ლაზიერის ფლანგიდან დარაზმა მეომრები, ორივე კუ წინ გაუშვა და უკან მდგარ ეტლებს გზა გაუთავისუფლა. მე-17 სვლაზე თეთრმა კუმ იერიში დაიწყო, მეტოქეს მხედარი მოუკლა, ფლანგი გახსნა და სარბიელზე მძიმე ძალები გამოჩნდნენ. ხურციძემ მარცხენა მხრიდან ლაზიერით შეუტია შავებს, ფლანგი მიუნგრია და ხარისხით დაწინაურდა. 32-ე სვლაზე ნინომ თადარიგში მყოფი ეტლებიც გამოუშვა, რომელთაც დასუსტებულ მეტოქეს კიდევ უფრო გადაურბინეს და 35-ე სვლაზე ქულა აიღეს.

ხუთმატჩიანი წარუმატებელი სერიის შემდეგ იმარჯვა ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა, 18 წლის ნანა ძაგნიძემ. მისმა მეტოქემ, აზერბაიჯანელმა ფირუზ ველიხანლიმ პარტია კლასიკური E4-ით დაიწყო, ძაგნიძემ კი მხედარი C6 უჯრაზე დაუსვა. აზერბაიჯანელი თავიდანვე გადავიდა იერიშზე, მე-9 სვლაზე ლაზიერი გამოიყვანა და შავ ხელმწიფეს მარტოდმარტო დაემუქრა. ნანამ ადვილად მოიგერია ეულად მეომარი თეთრი დედოფალი, თუმც იერიშში ჩართვა არ იჩქარა, ჯერ საკუთარი ფლანგი გააძლიერა და მეტოქეს შემდეგ დაარტყა. ძაგნიძემ მარჯვენა კუთხეში ორივე ეტლი დააყენა, მათ კი თეთრი მეფე ამოიღეს მიზანში და სანამ შეუტევდნენ, მარბიელად პაიკები გაუშვეს. პატარა ფიგურებმა შავი დღე აყარეს თეთრი ხელმწიფის დაცვას, ამიტომაც თეთრმა ბელადმა დასამალად სხვა ადგილი არჩია. შესაბამისად საბრძოლველად მომართულმა ეტლებმაც შეიცვალეს მიზანი და მარჯვნიდან მარცხნივ გადაინაცვლეს. ქართველმა აქედან დაარტყა მოწინააღმდეგეს, მათი ლაშქარი ააოხრა და 57-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ცხრილის თავში კი კვლავ ორხელისუფლებიანობაა. უკრაინელი კატერინ ლაჰნო და რუსი ნადეჟდა კოსინცევა 8,5-8,5 ქულით ლიდერობენ ჩემპიონატს.

ლაშა ბებეშძორი

ავტორბოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაუბერი გაიყიდა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

წლეულს ნამეტნავად გამწვავდა თითქოსდა მუშტად შეკრულ „BMW-უილიამსში" შიდა ურთიერთობა. ლეგენდარული ბრიტანული საჯინიბო მიმდინარე სეზონში მისთვის ერთობ სამარცხვინო, მეხუთე საკონსტრუქტორო ადგილზეა და ვითარების გამძაფრებაც ამან გამოიწვია. ცალკე BMW და ცალკე „უილიამსი" ერთმანეთს ადანაშაულებენ წლევანდელ უღიმღამო შედეგში. მართალია, კონფლიქტი გამძაფრებული იყო, მაგრამ ამგვარ დასასრულს ალბათ ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა.

ერთი სიტყვით, BMW და სერ ფრენკ უილიამსის გუნდი გაიყარნენ. გერმანელმა მეძრავეებმა საკუთარი საფორმულო ბიზნესი მოინდომეს და პეტერ ზაუბერის საჯინიბო იყიდეს. „ზაუბერი" 1993 წლიდან დარბოდა „სამეფო რბოლებში" და კერძო გუნდების შორის საუკეთესოს სახელიც [illegible], მაგრამ უფულობა მუდამ პრობლემებს უქმნიდა. 2006 წლიდან კი BMW დამოუკიდებელ გუნდად ჩაებმება ფორმულა 1-ის ჩემპიონატში.

ბუნებრივია, სამრავლო [illegible] მები სერ ფრენკსაც [illegible], მაგრამ ფირმის პრესტიჟულობის გამო ეს ნაკლებად იმოქმედებს [illegible] იმიჯზე. „უილიამსთან" თანამშრომლობის, ანუ მოტორების მიწოდების სურვილი „ჰონდა"-მ და „ტოიოტამ" გამოთქვეს.

მოკლედ, დაველოდოთ და [illegible]ლოდოთ.

გია ახალაძე

ჰოკეი

მეშვიდე კვირა მრგვალ მაგიდასთან

მიუხედავად მორიგი საკმაოდ დაძაბული და შრომატევადი მუშაობისა, ლიგამ და მოთამაშეთა ასოციაციამ კვლავ ვერ მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას ლოკაუტის დასრულებასა და ახალი ხელშეკრულების თაობაზე. წინა კვირაში მხარეებმა ოთხი დღის განმავლობაში საერთო ჯამში 28 საათი იმსჯელეს. დისკუსია პატარა, სამუშაო ჯგუფების ფარგლებში წარიმართა და, საინფორმაციო სააგენტოების ცნობით უამრავი საკითხი განიხილეს, მაგრამ მხარეებმა კვლავ აარიდეს თავი რაიმე დეტალურ ახსნა-განმარტებას. მეტიც, ამჯერად კიდევ უფრო ლაკონიური კომენტარებით შემოიფარგლნენ.

ამიტომაც ჩვენც მოვერიდებით დასკვნების გაკეთებას და ამ კვირისთვის დაგეგმილი მორიგი რაუნდების დასრულებას დაველოდებით. ეს უკვე ზედიზედ მეშვიდე კვირაა, რომელსაც მხარეები „მრგვალ მაგიდასთან" ამთავრებენ. დისკუსიები ამჯერადაც ორშაბათს დაიწყო.

ერთი სიტყვით, ამ განვლილმა კვირამ სანუგეშო ბევრი არაფერი მოგვიტანა გარდა იმისა, რომ კვლავ დადგა დღის წესრიგში პროფესიონალთა 2006 წლის ტურინის ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხი.

მოგეხსენებათ, მანამდე ლიგის კომისიონერი გერი ბეტმენი აცხადებდა, რომ ოლიმპიურ თამაშებში ნჰლ-ელთა მონაწილეობა გამორიცხულია, ვინაიდან ლიგამ ისედაც დიდი ზარალი განიცადა წინა სეზონის გაუქმების გამო და წლეულსაც ორი კვირით ჩემპიონატის გაწყვეტა არაა სასურველი. გასულ ორშაბათს მხარეებმა მოლაპარაკება სწორედ ამ თემით დაიწყეს და, როგორც ამბობენ, შეთანხმებასაც მიაღწიეს, თუმც ოფიციალურად ჯერ არაფერს არ ადასტურებენ.

სამველ ლარიგიანი

ოლიმპიზმი

სინგაპურში, პარიზის მხარდასაჭერად

საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ივლისის დასაწყისში სინგაპურს ეწვევა, რათა მხარი დაუჭიროს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ პარიზის განაცხადს. შირაკი დაესწრება 6 ივლისს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სხდომას, სადაც გაიმართება პარიზის განაცხადის პრეზენტაცია. თუმცა, პრეზიდენტი არ მოუცდის კენჭისყრის შედეგებს. იგი იმავე დღეს სინგაპურიდან გაფრინდება შოტლანდიაში, სადაც „დიდი რვიანის" სამიტი გაიმართება.

კი მაგრამ, არ ეცხელება?

ივლისში სინგაპურში, საბოლოო პრეზენტაციაზე, 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველი ლონდონი თავს, აი, ამ კოსტიუმებში გამოწყობილი ხალხით მოიწონებს. ჯერ კი მხოლოდ ჯეფ ბენქსის შეკერილი კოსტიუმების პრეზენტაციაა. ინგლისურ სამოსს თქვენთვის წარმოადგენენ სერ სტივ რედგრეივი, დენიზ ლუისი და სერ ბობი ჩარლტონი.



AFP ლონდონიდან

AFP კოლონიიდან

გაუმარჯოს ფეხბურთს!

ბრაზილიელი ბიჭუნა კიოლნის სტადიონზე კონფედერაციათა თასის მატჩს უყურებს და ნაყინს მიირთმევს. იაპონელი ბიჭუნა იმავე დროს და იმავე სარბიელზე მოწყენილია, ალბათ იმიტომ, რომ მამამ მეორე ნაყინი არ უყიდა. იაპონელი გოგონა კი საპნის ბუშტებს უშვებს. იმ დღეს იაპონელმა და ბრაზილიელმა ძია ფეხბურთელებმა 2:2 ითამაშეს.



AFP კოლონიიდან



AFP ლონდონიდან

გიხაროდეთ!

ცენტრალური ლონდონი. ბუკინგემის სასახლე. მორაგბე ენდი ფარელს ბრიტანეთის იმპერიის ორდენით აჯილდოვებენ. რაინდს გვერდში მეუღლე, კოლინი უდგას.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge